საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 იანვარი, 2015 წელი.

№11 (7656)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ საკაშვილზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდეს

2

მკვლელები შვილებიდან მამებზე გადადიან!

კასპის რაიონში, სოფელ ყარაფილაში, საკუთარი შვილის საფლაოსთან მომხდარი აფეთქებისას ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი გარდაიცვალა, — ამის შესახებ კასპის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა განაცხადა.

აფეთქების შესახებ ორი ვერსია ვრცელდება. ადგილობრივების ინფორმაციით, ვაზაგაშვილმა თავი აიფეთქა. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტერიტორია დანაღმული იყო და აფეთქება ამის შედეგად მოხდა.

როგორც მოსახლეობა ამბობს, იური ვაზაგაშვილი მეზობლის გასვენებაში იყო და იქიდან შვილის საფლავზე მივიდა, რა დროსაც აფეთქება მოხდა.

ადვოკატ ირმა ჭკადუას თქმით, არ არის გამორიცხული, რომ იური ვაზაგაშვილის გარდაცვალება მისი შვილის საქმის გამოძიებას უკავშირდებოდეს.

„ყოფილი ხელისუფლების დროს მუქარები ყოველთვის იყო, ამიტომ გადაადგილდებოდა ის ყოველთვის ადვოკატებთან ერთად. ამ ხელისუფლების დროს მის მიმართ მუქარები არ ყოფილა“, — განაცხადა ჭკადუამ.

მისივე ინფორმაციით, იური ვაზაგაშვილი შემართებით იყო და როგორც ყოველთვის, ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა. ადვოკატს არ ჯერა, რომ იური ვაზაგაშვილი თავს მოიკლავდა. **„მსგავს არაფერს გეგმავდა“,** — აღნიშნა ირმა ჭკადუამ.

ადგილობრივების ინფორმაციით, კასპის რაიონში, სოფელ ყარაფილაში აფეთქების ხმა სამჯერ გაიგონეს. მათივე ინფორმაციით, იური ვაზაგაშვილს, სოფლის რომელიმე მკვიდრის გარდაცვალებისას, წესად ჰქონდა დაკრძალვამდე რამდენიმე წუთით ადრე, მისი შვილის საფლავზე გადიოდა და განმარტოვდებოდა. სოფლის მცხოვრებლები ვარაუდობენ, რომ მისი ამ ჩვეულების შესახებ წინასწარ იცოდნენ და საფლავი დანაღმული იყო.

ადგილობრივები ამბობენ, რომ აფეთქება ყვავილების ლარნაკში ჩადებისთანავე მოხდა.

მათივე თქმით, ვაზაგაშვილი მარტო რომ არ ყოფილიყო, მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა.

„სალამ“ ფუძეა, რაც „მშვიდობას“ ნიშნავს

4

ისლამი: მითი და რეალობა

ბადაშვილმა საშველად თორდია იხმო!

3

...კაცისა ჰქონდა ყველა თვისება



6

თემურ ჭკუასელი:

ტრაგედია - თანამედროვე მენეჯერული აზროვნება

მთელი საქართველო თბილისისკენ დაიძრა. გაზაფხულია ან შემოდგომა, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, გედების გაყინულ ტბაზე იმპროვიზირებულ ბალეტს ველარ გაახერხებდნენ ნაციონალები, რამე სხვა უნდა მოეფიქრებინათ. მოიფიქრეს კიდეც, გედების ტბაზე უკეთესი. ჯერ მატარებლებზე ბილეთების გაყიდვა აკრძალეს. ხალხი ხედავდა რომ ვაგონები ცარიელი იყო, მოლარეები კი ურცხვად ირწმუნებოდნენ, ბილეთები აღარ გვაქვსო. მაშინვე მანქანებს, მინიბუსებსა და ავტობუსებს მიაწყდნენ. უზარმაზარი კოლონა დაიძრა თბილისისკენ, მაგრამ, ბელადმა ბრძანა, კოლონამ თბილისამდე არ უნდა ჩამოაღწიოსო. ადგნენ და კილომეტრნახევარი სიგრძის ნახევრად ჩაბნელებულ გვირაბში ერთმანეთზე თავებით მიდუღებული მოზრდილი ლურსმნები დაყარეს, თანაც გვირაბის შუაწელში, რაც შეიძლება დიდი ხნით რომ ჩახერგილიყო გზა და რაც შეიძლება დიდი პანიკა რომ გამოეწვიათ.

5

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მამა ილია კარტოზია დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს

მამა ილია კარტოზია მცხეთაში, დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს. ადრიატიკის ზღვაში ბორან „ნორმან ატლანტიზე“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაღუპული მოძღვარი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული ტაძრის წინამძღვარი იყო. მამა ილია კარტოზია საქართველოში 18 იანვარს ჩამოასვენეს და თავდაპირველად სამების საკათედრო ტაძარში დაასვენეს, შემდეგ კი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაასვენეს.

სვეტიცხოვლის ტაძარში მამა ილია კარტოზიას სულის მოსახსენიებლად საღმრთო ლიტურგია აღევლინა, რომლის დასრულების შემდეგაც სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. მამა ილიას ცხედარი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან 14:00 საათზე ჩოხოსნებმა და სასულიერო პირებმა გამოასვენეს, საიდანაც სამგლოვიარო ცერემონიამ მამათა მონასტერში გადაინაცვლა.

მამა ილია კარტოზიას ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და პოლიტიკოსებმა.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მამა ილია კარტოზიას ხსოვნას პატივი მიაგო და მის ოჯახს მიუსამძიმრა. ქვეყნის პირველი პირი ოჯახისთვის სამძიმრის გამოსაცხადებ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში იმყოფებოდა.

„საქართველოს ისტორიაში, სადაც სამშობლოსთვის თავდადებული ამდენი წმინდანი და გმირია, ძნელია ჩაწერო შენი სახელი, მაგრამ მამა ილიამ ეს შეძლო და თავისი გმირობით უკეთესი გახადა საერთოდ მთელი კაცობრიობა – გაანათა ის თავისი რწმენით და გმირობით. ჩვენ მამა ილია კარტოზია დავაჯილდოვეთ სამოქალაქო გმირობისთვის. ეს არის მცირე წვლილი, რაც შეგვეძლო, გაგვეკეთებინა, მაგრამ ბუნებრივია, მისი ხსოვნის პატივისცემა და მის მაგალითზე მომავალი თაობების აღზრდა არის ყველა ჩვენგანის ვალი“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მამა ილია კარტოზიას ხსოვნას პატივი მიაგო. მთავრობის მეთაური სვეტიცხოვლის ტაძარში იმყოფებოდა, სადაც არქიმანდრიტია დასვენებული.

„მინდა, მივუსამძიმრო მამა ილია კარტოზიას ოჯახს, მის ახლობლებს, მრევლს, ჩვენს ეკლესიას, მოსახლეობას. მამა ილიამ მართლაც სამაგალითო გმირობა გვაჩვენა. ეს დასაფასებელია და ჩვენი ვალია, რომ მის ხსოვნას სათანადო პატივი მივაგოთ“ – განუცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

◎ ვითარება

შერბილდება თუ გამკაცრდება რუსეთისადმი სანქციები?

ევროპის **შუაგულში ბოლომდე ვერ ჩამოყალიბებულან მოსკოვის წინააღმდეგ მიმართული სანქციები უნდა გამკაცრდეს თუ შემსუბუქდეს. გადაწყვეტილება ადვილი მისაღები არ იქნება.**

ევროპარლამენტმა ევროპის საბჭოს მოსკოვის წინააღმდეგ დამატებითი შეზღუდვების დაწესებისკენ მოუწოდა. შეზღუდვები ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უკრაინასთან ურთიერთობას არ მოაწესრიგებს. სხდომაზე ევროპარლამენტმა უკრაინაში არსებული მდგომარეობის შესახებ რეზოლუცია მიიღო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სანქციები ენერგო და საფინანსო სექტორებში იმოქმედებს.

„დღის წესრიგში რუსეთის საკითხის განხილვა დგას, თუმცა, დამატებითი სანქციების მიღებას ნუ ელოდებით. ვფიქრობთ, როგორ გამოვიყენოთ ის ინსტუმენტები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგგაგვაჩნია და სანქციებზე ბევრად უფრო ეფექტური იქნება“, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ფედერიკა მოგერინმა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ლინას ლინკევიჩუსი კი მიიჩნევს, რომ რუსეთს არ უჩვენებია ვითარების შემსუბუქების არანაირი პოლიტიკური სურვილი ან ნაბიჯი. შესაბამისად, პოლიტიკის შეცვლის მიზეზიც არ არსებობს.

ახალი სანქციები კი არა, ბოლო დღეებში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია მოსკოვისთვის დაწესებული შეზღუდვების შერბილებისა და შესაძლო გაუქმების შესახებაც, რამაც კიევში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. უკრაინა ასეთ ნაბიჯს იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუკი კრემლი უკრაინისთვის მიყენებულ ყველა ზარალს აანაზღაურებს.

სწორედ ასეთი პოზიცია დააფიქსირა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დოკუმენტში, რომელიც საგარეო საკითხებში ევროკავშირის მიერ გასამართ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის გადასაცემად არის განკუთვნილი. კიევი ასახელებს იმ მიზეზებსაც, რის გამოც სანქციების შეჩერება ან შერბილება შეუძლებელია.

„მოსკოვი ევროკავშირში ძალადობის პროპაგანდას ეწევა და მხარს უჭერს ტერორიზმს. გასულ წელს ევროკავშირმა თავის 20 გადაწყვეტილებაში რუსეთის ფედერაციას უკრაინაში ვითარების დეესკალაციისა და მშვიდობის დასამყარებლად 24 მოთხოვნა წაუყენა, რუსეთმა მათგან მხოლოდ 4 მოთხოვნა შეასრულა, დანარჩენის იგნორირებას კი დღემდე აგრძელებს, რითაც საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს“, – ნათქვამია აღნიშნულ დოკუმენტში.

კიევი ევროპას აფრთხილებს, რომ პუტინთან მოლაპარაკების მიზნით სანქციები არ შეარბილოს.

„სანქციების საკითხში ევროკავშირის მხრიდან დათმობაზე წასვლა ნიშნავს ისეთი საერთაშორისო პრინციპების დათმობას, როგორიცაა ქვეყნის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვეობა. ეს კი დონბასში კონფლიქტის გაყინვასა და ყირიმის პრობლემის მოგვარების ხანგრძლივი დროით გადადებას გამოიწვევს“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

ევროკომისარი იოჰანეს ჰანი უკრაინელთა დასამშვიდებლად აღნიშნავს, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმების საბაბი არ არსებობს.

„ვფიქრობ, საკითხმა იმის გამო წამოიწია, რომ სანქციებს ივნისში ვადა ეწურება. ჩვენ უნდა განვიხილოთ მათი გაგრძელების შესაძლებლობა. თუ ეს საკითხი არ განვიხილეთ, ვადის გასვლის შემდეგ სანქციები ავტომატურად გაუქმდება. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე რუსეთისთვის სანქციების გაუქმების საბაბი ჩვენ არ გვაქვს“, – აღნიშნა იოჰანეს ჰანმა.

ბექა დანელია

◎ ალიან-ჩალიანი

ქართული ღვინის გალერეა ბერლინში

ბერლინში საერთაშორისო გამოფენის „მწვანე კვირეულის“ მიმდინარეობის პარალელურად, სადაც ქართული პროდუქციაც იყო წარმოდგენილი, ბერლინში ქართული ღვინის გალერეა გაიხსნა.

გალერეის გახსნის ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციაში ლადო ჭანტურია და ქართული დელეგაციის წევრები ესწრებოდნენ. ქართული ღვინის გალერეა კომპანია „ტიბანელმა„ გახსნა, რომელიც 2008 წლიდან გერმანიაში ქართული ღვინის ექსპორტს ახორციელებს.

„გალერეაში, რომელიც ბერლინის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე Savini platz-ზე მდებარეობს, მხოლოდ ქართული დასახელების ღვინო, ჭაჭა და ბრენდი იქნება წარმოდგენილი. პირველ ეტაპზე ღვინის გალერეაში კომპანიების - „მეღვინეობა გრანელი“, „ასკანელი“, „ტყუპების ღვინის მარანი“, „ყვარლის სარდაფი“, „ალავერდის ღვინოები“ – 25 დასახელების პროდუქცია იქნება წარმოდგენილი. გალერეაში ქართველი ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაც გაიმართება“.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ დანელიას თქმით, ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა უფრო მეტად მნიშვნელოვანია.

მისივე განცხადებით, ქართული ღვინის გალერეის გახსნა ბერლინში სწორედ ქართული პროდუქციის მიმართ ცნობადობის გაზრდას და ინტერესის გაღრმავებას ემსახურება. ევროპის ბაზარზე ქართული ღვინო კიდევ უფრო მოთხოვნადი ხდება და ეს ფაქტიც ამის ნათელი დადასტურებაა.

ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ სააკაშვილზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდეს

ამის **შესახებ მთავარი პროკურორის მოადგილეს გოგაძემ ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, თუ რა ეტაპზეა საქართველოს მიერ ინტერპოლში მიხეილ სააკაშვილზე ძებნის თაობაზე გაცხადებული მოთხოვნა.**

„მოლოდინის რეჟიმში ვართ და ველოდებით ინტერპოლის გადაწყვეტილებას“, – განაცხადა გოგაძემ.

მისივე თქმით, როდესაც ინტერპოლი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს ინტერპოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება და ყველასთვის ცნობილი გახდება. ამასთან, კითხვაზე, აქვს თუ არა იმედი პროკურატურას, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდება, მთავარი პროკურორის მოადგილემ უპასუხა, რომ რა თქმა უნდა, „ყველა საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ მასზე წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდეს“.

* * *

რუსეთმა **მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მასალები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში გააგზავნა.**

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ადრე თუ გვიან სასამართლოს წინაშე წარსდგება 2008 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩადენილი დანაშაულებისთვის, – ამის შესახებ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მარკინმა განაცხადა.

„ისტორია გვიჩვენებს, რომ ადრე თუ გვიან, ყველა, ვინც მსგავს დანაშაულებს სჩადის, პასუხის აგებს ამისთვის. საქართველოს ყოფილმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა პეკინის ოლიმპიადის გახსნის დღეს სამხრეთ ოსეთში ჯარების შეყვანისა და რუს სამშვიდობოებზე თავდასხმის ბრძანება გასცა“, – აცხადებს ვლადიმერ მარკინი.

მისივე თქმით, რუსეთში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება „გენოციდის“, „მკვლელობისა“ და „ომის წარმოების მეთოდებისა და აკრძალული საშუალებების გამოყენების„ ბრალდებით ჩატარდა.

მარკინის განცხადებით, ამ საქმის მასალები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში არის გადაგზავნილი.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ქეცბაიას ძროხამ ხბო წააგო!

● ფრანგებმა კარგად ნახონ, მაისურაძის პირადობა ხომ არ არის დატოვებული სადმე ზალოგში.

● ერთიანო ნაციონალურო მოძრაობავ – გაფუჭდა კიევის აეროპორტის კარი. სამთო ქიმიასთან მოქუჩდით და ერთიანად წადით.

● ნუგზარ მალაღურაძე (ქართული ოცნება, საკრებულო): „როდესაც ბატონი ვახტანგ გორგასალი თბილისში ნადირობდა, მაშინ მთელი ეს ადგილი სარეკრიაციო ზონა იყო“.

● ვინ მიმასწავლის კუდიგორის გზას კი არა და, სად მოვიძიო, ვინ და რამდენით აფინანსებს მავან არასამთავრობო ორგანიზაციას(ებს)?

● ნეტავ, ოქრუაშვილმა თუ მიულოცა მიშას ნათლისღება?

აბა, ბავშვს რომ ანათლინებდა, მაშინ კარგი იყო სააკაშვილი, ხომ?

● ეს ირაკლი კობახიძე ან დანიშნეთ, ან თავი გაგვანებეთ რა.

ამხელა ამბავი თვით ჭიკაიძის დანიშვნაზე არ ამტყდარა...

● მეომარ კაცზე აუგის თქმა არ არის ლამაზი! მით უმეტეს, თუ ის დაღუპულია! მაგრამ არც ის მგონია, ლამაზი იყოს, ცოცხალ საზოგადოებას აბსოლუტურ იდიოტად თვლიდე, რამეთუ მეომრის დედა გამოდის და იძახის - ჩემი შვილი შსს სპეცდანიშნულების რაზმში მსახურობდა, ერთი თვის წინ განცხდება დაწერა, სამსახურიდან წამოვიდა და საქართველოს დასაცავად უკრაინაში გაემგზავრა აბსოლუტურად უანგაროდო! თუმც შემდეგ ჟურნალისტი მოგვითხრობს, იგივე ქალბატონი კამერის მიღმა ნაციონალების დაპირებულ დიდ თანხაზე და დაპირებულის შეუსრულებლობაზე საუბრობსო!

აქვე დასძენს, რომ მეომარს ამ დღეებში საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩამოასვენებს და სახელმწიფო ხარჯებით დაკრძალავენო!

ზრდასრული ადამიანი უფლებამოსილია, ის აკეთოს, რასაც მართებულად თვლის, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, ან რატომ იღებს სახელმწიფო ასეთ ხარჯებს თავის თავზე და თუ ეს მისაღებია, მაშინ რატომ არ აიღო იმავე სახელწიფომ თავისივე პოლიციელების მიერ დახოცილი, დასახიჩრებული და შეურაცხყოფილი ადამიანების დაკრძალვის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯები?! მაინტერესებს რა!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

SIC!

ფრთხილად, შუაში ენგურია!

სეპარატიზმი ენგურჰესსაც მიუახლოვდა

ენგურჰესთან **დაკავშირებით აფხაზმა სეპარატისტებმა მსხვილი პროვოკაცია წამოიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ ჰესს დაარსებიდან დღემდე ქართველები მართავენ და უვლიან, სოხუმში ე.წ. ხელისუფლებას, მოსკოვის კარნახით, „დიადი მიზნები“ გაუჩნდა. თბილისში სეპარატისტულ მოსაზრებებს არასერიოზულად უყურებენ.**

კომპანია „ჩერნომორენერგოს“ გენერალური დირექტორი ასლან ბასარია აცხადებს, რომ „ენგურჰესის“ კუთვნილებასთან დაკავშირებით ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები დაწყებულია.

„ქონების რეესტრში ეს ობიექტი არ არის. საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე გავედით მოლაპარაკებების პროცესზე ქართულ მხარესთან. თუ ეს საკითხი არ გადაწყდება, როგორც აფხაზეთი, ასევე საქართველოც დაზარალდება“, — განაცხადა ბასარიამ.

ენერგეტიკის სამინისტრო კი „ჩერნომორენერგოსთან“ მოლაპარაკებებს კატეგორიულად უარყოფს. „ენგურჰესი“ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე და ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს. კიდევ ერთხელ შევახსენებთ ყველას, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია და ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ამ რეგიონის წინაშე“, — აცხადებენ ენერგეტიკის სამინისტროში და განმარტავენ, რომ მიუხედავად კონფლიქტისა და არსებული პოლიტიკური სირთულეებისა, „ენგურჰესი“ ისევე აწვდის ელექტროენერგიას აფხაზეთს, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ნებისმიერ კუთხეს.

„აღვნიშნავთ, რომ „ენგურჰესის“ ოპერირებას ახორციელებდა და მომავალშიც განახორციელებს საქართველოს სახელმწიფო, ჩვენ ვუწევთ მონიტორინგს ჰესის სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს. „ენგურჰესის“ ექსპლოატაციის სრულ ხარჯს ფარავს საქართველოს მთავრობა“, — ნათქვამია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებაში.

„ენგურჰესის“ გაყოფის საკითხი რაულ ხაჯიმბამ წამოწია, თუმცა, ხაჯიმბა ჰესის გაყოფის ისეთივე დე ფაქტო ინიციატორია, როგორც დე ფაქტო პრეზიდენტი. სინამდვილეში ამ თემის წამოწევა რუსეთის ინტერესებში შედის.

„ის, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზეა - აფხაზეთის საკუთრება უნდა იყოს“, — ასე სჯერა ხაჯიმბას. იგი დარწმუნებულია, რომ მთავარი ენერგოობიექტის კუთვნილების საკითხი რთული, მაგრამ აუცილებლად მოსაგვარებლია.

შერიგებისა და სამოქალაქო საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ენგურჰესის კუთვნილებასთან დაკავშირებით, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებს გამორიცხავს. ზაქარეიშვილმა განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში საომარი მოქმედებები დასრულდა, ენგურჰესის ექსპლუატაციას მხოლოდ ქართული მხარე აწარმოებს.

ამ ხნის განმავლობაში, მუდმივად, ექსპლოატაცია იქნებოდა ეს თუ სხვა გარკვეული სარემონტო სამუშაოები, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა, რომელსაც, ბუნებრივია, აფხაზურ მხარესთან გარკვეული კონტაქტები ახლდა.

„ენგურჰესის მთელი კომპლექსი მდინარე ენგურის ორივე მხარეს არის გაშლილი. კაშხალი წალენჯიხის რაიონშია, ხოლო ელექტროსადგური გალის რაიონში. ბუნებრივია ელექტროსადგური წყალსაცავიდან წყლის მიწოდების გარეშე ვერ იმუშავებს. აქედან გამომდინარე, ეს მხოლოდ და მხოლოდ ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციაა“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

მისივე განმარტებით, ენგურჰესის ექსპლუატაციას სხვა ფორმატები არ სჭირდება, რადგან ელექტროსადგური საქართველოს საკუთრებაა. რაც შეეხება კითხვას, მიმდინარეობს თუ არა ენგურჰესის კუთვნილებაზე აფზახურ მხარესთან რაიმე სახის მოლაპარაკება, ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ მსგავსი მოლაპარაკება არ წარმოებს.

აფხაზი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი ხაჯიმბას ამ მიმართულებით გააქტიურებას სახიფათოდ მიიჩნევს და აღნიშნავენ, რომ ამ განცხადების უკან რუსეთის ინტერესები დგას.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, ენგურის გარეშე ჰესი 1 კვტ/სთ ენერგიასაც ვერ გამოიმუშავებს, ენგური კი საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა.

„სოხუმში იციან, რომ ელექტროენერგიის გამომუშავება ხდება ჰიდროაგრეგატების მეშვეობით, რომლის ნაწილი მდებარეობს საბერიოში, ნაწილი კი — სოფელ რეჩხში. კაშხალი კი, საიდანაც წყალი გვირაბით ამ ჰესებზე მიედინება, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში, ამ წყლის გარეშე ჰიდროსადგური ვერცერთ კილოვატ ენერგიას ვერ გამოიუმუშევებს. ამიტომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც საჭიროა ორივე მხარის კეთილი ნება იმისათვის, რომ ჰიდროელექტროსადგურმა გამართულად იმუშაოს და დაცული იყოს ელექტროენერგიის მომხმარებელთა ინტერესები“, — განაცხადა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ.

ბექა დანელია

„კაბელების საქმე“

ბადაშვილმა საშველად თორდია იხმო!

თავდაცვის **სამინისტროს დაკავებული ხუთი მაღალჩინოსნის საქმესთან დაკავშირებით, მთავარი პროკურატურა ჩიხშია შესული. როგორც for.ge-სთვის გახდა ცნობილი, მთავარი პროკურატურა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ავალებს, რომ შეისწავლოს თავდაცვის სამინისტროსა და კომპანია „სილქნეტს“ შორის არსებული ხელშეკრულების მართლზომიერება, ანუ აუდიტის სამსახურმა ყველაფერი უნდა იღონოს, რათა იპოვოს ბნელ ოთახში არარსებული შავი კატა, რომელიც პროკურატურამ ვერ აღმოაჩინა.**

თავდაცვის სამინისტროს დაკავებული ხუთი მაღალჩინოსნის საქმეზე, წინა სასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 10 თებერვალს გაიმართება. რამდენადაც საქმის ნაწილი ბრალდების მხარის მიერ ისევ გასაიდუმლოებულია, არსებობს ალბათობა, სასამართლო სხდომა დაიხუროს. სახელმწიფოს კუთვნილი 4 102 000 ათასი ლარის გაფლანგვის ბრალდებით თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალჩინოსანი 2014 წლის 28 ოქტომბერს დაკავეს.

როგორც ცნობილია, თავდაცვის სამინისტროსა და კომპანია „სილქნეტს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაზე პროკურატურამ გამოძიება კომპანია „დელტა კომის“ განცხადების საფუძველზე დაიწყო. „დელტა კომმა“ პროკურატურას 2014 წლის 3 აპრილს მიმართა, დაახლოებით 6 თვის შემდეგ, რაც თავდაცვის უწყებამ და „სილქნეტმა“ ხელშეკრულება გააფორმეს, ხოლო საქმეზე გამოძიება 2014 წლის 20 ივნისს დაიწყო. რატომ მიმართა პროკურატურას 6 თვის დაგვიანებით და არა ოპერატიულად, ამაზე „დელტა კომი“ კომენტარს ამ დრომდე არ აკეთებს.

თავდაცვის სამინისტროს მიერ, 2013 წლის აგვისტოში გამოცხადებულ რამდენიმემილიონიან ტენდერში მონაწილეობდა „დელტა კომი“. თუმცა, თავდაცვის სამინისტრომ არჩევანი კომპანია „სილქნეტზე“ შეაჩერა, ვინაიდან ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის მომსახურებისთვის „სილქნეტმა“ 6,5 მილიონი ლარი მოითხოვა, ხოლო ამ მომსახურებისთვის „დელტაკომმა“ გაცილებით ძვირი, 10 მილიონი მოითხოვა.

თუმცა, ბრალდება ამ დრომდე არ ინტერესდება, რატომ მოითხოვა კომპანია „დელტა კომმა“ გაცილებით ძვირი. მეტიც, 4 თვის განმავლობაში ბრალდებამ ამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალი და მოტივი ვერ გამოკვეთა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარმა პროკურატურამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიმართა შეისწავლოს თავდაცვის სამინისტროსა და კომპანია „სილქნეტს“ შორის არსებული ხელშეკრულების მართლზომიერება. შესაბამისად, თორდიას უწყება ახლა არკვევს იმ საქმის მართლზომიერებას, რომელზეც პროკურატურა გამოძიებას აწარამოებს.

დაკავებული მაღალჩინოსნების ადვოკატების განცხადებით, კანონით, ჯერ სახელმწიფო აუდიტის სამსახური სწავლობს გარკვეული ქმედების მართლზომიერებას და შემდეგ ხდება პროკურატურაში საქმის გადაგზავნა. ადვოკატი ლევან სამუშია აცხადებს, რომ ის, რაც ხდება, ძალზედ უცნაურია, მით უმეტეს, რომ პროკურატურას აქვს ექსპერტიზის დასკვნაც, რომელიც დაცვის კრიტიკის საფუძველი გახდა. ეს დასკვნა მთლიანად დაეყრდნო მომჩივანი კომპანიის „დელტა კომის“ წარმომადგენლის ზეპირ მოსაზრებას.

„პროკურატურა რაღაცა ხავსს ეძებს, რომ მოეჭიდოს, მაგრამ ამ ხავსს ვერ ჩაეჭიდება, რადგან საქმეში მტკიცებულება არ არსებობს. საქმეში არაა მოტივი და ვერც იქნება, იმიტომ, რომ დანაშაული არ არსებობს. როდესაც დანაშაული არ არსებობს, მის მტკიცებულებას ვერ მოიპოვებ“, — აცხადებს for.g-სთან საუბრისას ლევან სამუშია.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს ფინანსური საქმიანობის შესახებ მასალები უკვე პარლამენტშია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პარლამენტის ნდობის ჯგუფს თავდაცვის უწყების მიერ 2011, 2012 და 2013 წლებში განხორციელებულ შესყიდვების შესახებ მასალები 2014 წლის ნოემბერში გადაუგზავნა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა თორდია აცხადებდა, რომ შემოწმების შედეგად ამოღებული დოკუმენტაცია, რიგ შესყიდვებთან დაკავშირებით, დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. შესაბამისად, მასალები რეაგირებისთვის პროკურატურას გადაეცა.

ე.წ. კაბელების საქმეში ასევე მნიშვნელოვანი დეტალია კომპანია „დელტა კომსა“ და შსს-ს შორის არსებული ხელშეკრულება. საქმეში არსებობს მოწმის ჩვენება, სადაც ის საუბრობს, რომ შსს ყოველთვიურად, რამდენიმე ასეულ ათას ლარს იხდის ამ მომსახურებაში, რასაც ასევე ადასტურებს კომპანიის ტექნიკური დირექტორი დავით ხუბულური. 2014 წლის დეკემბრის მიწურულს, ხუბულურმა ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში განაცხადა, რომ „2014 წლის 1 იანვრიდან დღეის ჩათვლით, შსს „დელტა კომს“ კოლოსალურ თანხას უხდის“. სხვათა შორის, დავით ხუბულური ამ საქმეში ბრალდების ერთ-ერთი მოწმეა.

2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე, რა რაოდენობის თანხებს უხდის შსს „დელტა-კომს“ ამ ინფორმაციის მოთხოვნით დაცვის მხარემ ორჯერ მიმართა შს მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძეს, თუმცა, დაცვას კითხვაზე პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

„კომპანიის ტექნიკურმა დირექტორმა დავით ხუბულურმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან დღეის ჩათვლით შსს მომსახურებისთვის კოლოსალურ თანხას გვიხდისო. ჩვენ ვეუბნებით შსს-ს, მოგვაწოდონ ინფორმაცია, ემსახურება თუ არა „დელტა კომი“ და რა თანხას იხდის ამ მომსახურებისათვის. შსს ამ ინფორმაციას გვიმალავს და გვეუბნება, რომ „დელტა კომთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, ოპტიკურ ბოჭკოვანი მაგისტრალით მომსახურების შესახებ საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებული არ გვაქვსო, მაშინ, როდესაც კომპანიის ტექნიკური დირექტორი აცხადებს, რომ შსს-თან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება და 2014 წლიდან ძალიან დიდ თანხებს იღებენ. ბუნებრივია, ისმის კითხვა — რას მალავს შსს? მე ვფიქრობ, რომ ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი, რასაც კომპანიის წარმომადგენელი ადასტურებს.

ჩვენ შუამდგომლობით მივმართეთ პროკურატურას, რომ გამოეთხოვათ 2014 წლის ხელშეკრულება, მაგრამ პროკურატურამ გვითხრა, რომ საქმისთვის ეს არაა სასარგებლო... პროკურატურამ კარგად იცის, რაც ხდება შსს-ში. სწორედ პროკურატურის და შსს-ს ერთობლივი გადაწყვეტილებაა, რომ დამალონ შსს-სა და „დელტა კომს“ შორის არსებული 2014 წლის ხელშეკრულება“, — აცხადებს for.g-სთან საუბრისას ლევან სამუშია.

დაცვის მხარის განცხადებით, ამ დროის განმავლობაში ბრალდებამ ვერ გამოკვეთა დანაშაულის მოტივი და დაკავებულთა ურთიერთკავშირი.

ადვოკატ სოსო ბარათაშვილის განცხადებით, გარდა იმისა, რომ დაკავებულები ერთი უწყების თანამშრომლები იყვნენ, სხვა მათ არანაირი სამსახურებრივი კავშირი არ ჰქონდათ და ამ კავშირს ვერც პროკურატურა ვერ უთითებს.

„რა დანაშაულს სჩადიოდნენ ეს ადამიანები ხომ უნდა იყოს გამოკვეთილი? მაგრამ ასეთი რამ საქმეში არაა. შესყიდვების დეპარტამენტიდან დაკავებულია გიზო ღლონტი, სამმართველოს უფროსი გიორგი ლობჟანიძე და სპეციალისტი არჩილ ალავიძე. არჩილ ალავიძის ბრალდება იმაში გამოიხატება, რომ ადგენდა ტექსტს, რომელსაც ავალებდა გიორგი ლობჟანიძე, ხოლო ლობჟანიძის ბრალი იმაში გამოიხატება, რომ ალავიძეს ავალებდა შეედგინა ტექსტი.

ისინი არც გადაწყვეტილების მიღებაში და არც კომპანიის შერჩევაში მონაწილეობას არ იღებდნენ. მათი ბრალეულობა არ არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას წიფურიაზე, რომლის ბრალეულობა იმაში გამოიხატება, რომ მან მოამზადა წერილი, რა იყო საჭირო ამ ოპერაციისთვის. რაც შეეხება წიფურიას და კაიშაურს, ამ შემთხვევაში, არც მოტივი და არ მიზანი არაა გამოკვეთილი. გაფლანგვის ფაქტი არ დასტურდება. ელმენტარული დათვლითაც ნათელი ხდება, რომ მათ კი არ გაფლანგეს, არამედ დაზოგეს სახელმწიფო თანხა“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ბარათაშვილი.

შეგახსენებთ, რომ მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორი ჯარჯი წიკლაური გადაცემა „აქცენტებში“ აცხადებს, რომ გაფლანგვა თავისთავში, როგორც დანაშაული, არ გულისხმობს ფინანსური სარგებლის მიღებას გამფლანგველის მიერ.

„როდესაც ხდება ადამიანის პასუხისგებაში მიცემა, უნდა არსებობდეს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საკმარისი იქნება დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ვიმსჯელოთ — ამ ადამიანებმა შესაძლოა, ჩაიდინეს დანაშაული. ამ ეტაპისათვის რომ არსებობდეს ეს სტანდარტი, ჩვენ ბატიაშვილს (თავდაცვის მინისტრის მოადგილე) ბუნებრივია, როგორც ნებისმიერ სხვა პირს, ვის მიმართაც გამოიკვეთებოდა დანაშაული და იქნებოდა მტკიცებულებები, პასუხისგებაში მივცემდით“, — განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.

მარიამ ლაბაძე

„სალამ“ ფუძეა, რაც „მშვიდობას“ ნიშნავს

***როცა** ისტორიული გადმოსახედიდან XXI საუკუნის პირველი ათწლეულების სრულფასოვანი ანალიზის დრო დადგება, მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, უდავოდ, რელიგიური ანტაგონიზმით შეფერადებული მსოფლიო რეზონანსის მქონე ტერორისტული აქტების სერია იქნება, რომელთა უმეტესობა აგრესიულ ისლამს უკავშირდება. ჩამონათვალი დიდია და საზარელი – 2011 წლის სექტემბრის თავდასხმების სერია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სისხლიანი იერიში საუდის არაბეთში ამ ქვეყნის საელჩოზე, ბესლანის მოვლენები, ახლახან პარიზის იუმორისტულ ჟურნალ „შარლი ებდოს“ რედაქციაში გამართული სასაკლაო...*

ყველა ეს ამბავი მსოფლიო საზოგადოების, ქვეყნების მმართველი ელიტების, მასმედიის საშუალებათა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა, მათ შორის ორიენტალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ახლა ბევრს ბჭობენ იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს დასავლეთის სამყაროს პოლიტიკა მუსლიმანური ტერორიზმის, ზოგიერთი ისლამური რადიკალური დაჯგუფების მიერ გამოცხადებული „წმინდა ომის“ – ჯიჰადის მიმართ, რა ძალისხმევაა საჭირო აგრესიული ისლამის გამოვლინებებისგან თავის დასაცავად.

*ამ ვითარებაში სავსებით ბუნებრივია საზოგადოებრივი ინტერესი იმის გამო, თუ როგორია თავად ისლამი სხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებლობისა თუ აგრესიულობის მხრივ, ასევე ჩვენს უახლოეს სამეზობლოში მომძლავრებულ ვაჰაბიზმში, რა არის მისი არსი, რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო მსოფლიოში ისლამური ტერორიზმის გააქტიურების პერიოდში, როგორი პოლიტიკა უნდა გაატაროს ამ მხრივ ჩვენმა ხელისუფლებამ. სწორედ ამ საკითხებზე კვალიფიციური პასუხის მისაღებად შევხვდით და ვესაუბრეთ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს, მწერალს, ყურანის ქართულ ენაზე მთარგმნელს **გიორგი ლობჟანიძეს**.*

– 12 **იანვრის** პარიზის ტერაქტამდეც ხშირად მეკითხებოდნენ, არის თუ არა ისლამი აგრესიული რელიგია, ანდა არის თუ არა მასში ჩადებული ის მუხტი, რომელიც აგრესიას შობს და ასაზრდოებს. ეს არ არის ასე ერთმნიშვნელოვნად საპასუხო შეკითხვა, რადგან არც ერთი რელიგია აგრესიას, როგორც ასეთს, არ ქადაგებს, მათ შორის ცხადია, არც ისლამი. სხვა შემთხვევაში ის მსოფლიო რელიგიად ვერ ჩამოყალიბდებოდა. საგულისხმოა, რომ თავად სიტყვა „ისლამი“, „ღვთისთვის თავის მიცემას“, „ღვთისადმი თავის მიძღვნას“ ნიშნავს და სწორედ ამავე ძირიდან არის სიტყვა „სალამ“, ანუ „მშვიდობა“. ამდენად, არ არის ძნელი იმის გაგება, რომ როცა ადამიანს უნდა, რომ თავი მიუძღვნას ღმერთს, მან, უწინარესად, მშვიდობა საკუთარ თავსა და გარშემო მყოფებთან უნდა დაამყაროს. სწორედ ეს გახლავთ ისლამის არსი, – ამბობს ბატონი გიორგი.

რაც შეეხება უშუალოდ ყურანის იმ მუხლებს, რომლებიც, განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, შეიძლება განმარტებული იქნას, როგორც მოწოდება საღვთო ომების საწარმოებლად, სურებში ასეთი რამდენიმე ფრაზაა. მათ შორის ერთ-ერთი, რომელსაც დასავლეთში სხვებზე ხშირად ციტირებენ, არის **„გამოდევნეთ ისინი, საიდანაც გამოგდევნიან, დახოცეთ ისინი ისევე, როგორც დაგხოცავენ, ხოლო თუ აპატიებთ, იცოდეთ, რომ პატიება შურისგებას სჯობს“**. ყურანის ამ და რამდენიმე სხვა ამის მსგავსი შინაარსის გამონათქვამს გარკვეული პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები განმარტავენ, როგორც **ურწმუნოებაზე, ანუ არამუსლიმანებზე აგრესიის განხორციელების მოწოდებას**.

აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ორი მომენტი: ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირობით-დამოკიდებულ წინადადებასთან და ეს, **ფაქტობრივად, არა აგრესიის, არამედ თავდაცვისკენ მოწოდებაა: ლაპარაკი იმაზე, რომ თუ ურწმუნოები, ანუ არამუსლიმანები თავს დაესხმებიან ჭეშმარიტ მორწმუნეებს (ანუ მუსლიმანებს), მაშინ მათაც აქვთ შემოტევაზე საკადრისი პასუხის გაცემის უფლება. ოღონდ საქმე ისაა, რომ თუ ჭეშმარიტად მორწმუნე ამ აგრესიის პატიებას შეძლებს, პატიება შურისგებაზე უკეთესია**. შინაარსობრივად ეს, ფაქტობრივად, ძველი აღთქმის გამონათქვამის „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“-ის ტოლფასია, ოღონდ, მე თუ მკითხავთ, გაცილებით უფრო შერბილებული ფორმით – ძველ აღთქმაში შურისგების მოთხოვნა გაცილებთი კატეგორიულია, უფრო იმპერატიულადაა მოწოდებული. შურისგებაზე ლაპარაკი ყურანშიც არის, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი შუღლი სხვის მიერაა წამოწყებული. **ამ პოსტულატების მიხედვით, მუსლიმს არ შეუძლია შუღლის წამოწყება**.

– კარგად მესმის, რომ მოციქულ მუჰამედის ცხოვრების შემდეგ, VI საუკუნიდან, დიდმა დრომ განვლო, ხოლო თანამედროვე თეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ამა თუ იმ საზოგადოებაში რელიგიის ტრანსფორმირების პრობლემაა. კერძოდ იგულისხმება, **რომ წიგნით გადმოცემულ რელიგიათა მწკრივს თუ გავყვებით, წიგნით მოცემული რელიგია სხვაა, ვინაიდან იგი სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებაში ცვლილებებს (ხშირად საკმაოდ მნიშვნელოვანსაც!) განიცდის**. მაგალითად, კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ერთსა და იგივე თეოლოგიურ საფუძველზე მდგარი ისლამი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ყოველდღიურ ყოფაში თურქული ისლამი განსხვავებულია, ვთქვათ, ეგვიპტურისგან (აქ არ იგულისხმება განსხვავებები რელიგიის შიგნით არსებულ განშტოებებსა და მიმდინარეობებს შორის). ამის მიზეზი ის არის, რომ **რელიგიურ წარმოდგენებს ყოველთვის ერევა ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული თავისებურებები, ამიტომაც, დღევანდელ ეტაპზე ისლამზე, როგორც ერთიან ორგანიზმზე, ლაპარაკი მართებული არ იქნება**. ჩვენ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ მხოლოდ ყველა კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში ყურანისეულ ისლამზე, ამა თუ იმ ქვეყანაში მის თავისებურებებსა და განშტოებებზე, თუმცა კი, იმის თქმა, რომ რაღაც უნივერსალური მეთოდი უნდა შევიმუშავოთ, რომლითაც ისლამის რელიგიას მივუდგებით, არასერიოზულად მეჩვენება.

ჩემი ღრმა რწმენით, იმ ტერორისტულ აქტებს, რომლებმაც ბოლო წლებში მსოფლიო შეძრა, საბოლოო ანგარიშით, ისლამთან საერთო არაფერი არა აქვთ გარდა იმისა, რომ მისი აპოლოგეტები მისი სახელით მოქმედებდნენ.

ამასთან, არის მეორე მხარეც: როცა ლაპარაკია ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფაზე, ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანი ხდება. ამდენად, როცა საქმე რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფასა და ამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიდგა, რომლებიც ზოგიერთმა ისლამისტმა ფრანგული იუმორისტული ჟურნალის „შარლი ებდოს“ წინასწარმეტყველ მუჰამედზე კარიკატურების დასტამბვაში დაინახა, თავისი პროტესტი სხვა გზით უნდა გამოეხატა. არადა, როგორც ცნობილია, ნებისმიერი ქმედება უკუქმედებას იწვევს, ამდენად, ჩვენი სიტყვები და მოქმედებები ყოველთვის აწონილ-დაწონილი უნდა იყოს. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ჟურნალ „შარლი ებდოში“ ბევრი რელიგიური მომენტი ძალიან ცუდად იყო მოწოდებული, თუმცა კი, ამას სრულიად არაადეკვატური რეაქცია მოყვა. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ის, რომ მომხდარი ტერაქტი დასავლეთში ბევრმა ისე აღიქვა, რომ ისლამი ძალადობის მქადაგებელი რელიგიაა, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ასევე მრავლად იყო სრულიად საპირისპირო რეაქციაც. პარიზში დატრიალებულმა უბედურებამ კი შეიძლება გამოიწვიოს აგრესია მუსლიმანების, მათ შორის, ისეთი უწყინარი ადამიანების მიმართ, რომლებსაც არც რელიგიურ საფუძველზე ტერორიზმთან, არც, მით უმეტეს, უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ პირადად მე არასდროს მომივიდოდა აზრად ვინმეს მრწამსის შეურაცხყოფა იმ გამომწვევი ფორმით, როგორც ამ ჟურნალმა გააკეთა. იმასაც მინდა, გავუსვა ხაზი, რომ ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ სიტყვის, ან აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას – კი ბატონო, საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და აზრის გამოთქმა ყველას შეუძლია, ოღონდ, ცხადია, ამ ნაბიჯების შედეგებზეც უნდა დაფიქრდეს.

კიდევ ერთხელ მინდა, გავიმეორო, რომ **ტერორიზმის არანაირ გამოვლენას იოტისოდენადაც არ ვამართლებ, ყოველმხრივ ვგმობ მას, თუმცა კი ისიცაა, რომ მუსლიმანებმაც, ქრისტიანებმაც, სხვა რელიგიების წარმომადგენლებმაც დიდი გონიერება უნდა გამოვიჩინოთ ერთმანეთის რელიგიური გრძნობებისადმი მიდგომისას, თორემ თუ კონფლიქტი იმდენად გაღრმავდა, რომ გამოხატვის უმძაფრეს ფორმებში გადაიზარდა, ყველანი ფართომასშტაბიან გაუგებრობათა მძევლები აღმოვჩნდებით**.

მე, როგორც რიგითმა ქრისტიანმა ქართველმა, მინდა, განვუმარტო ყველას, რომ საქართველოში ეს არანაირად არ უკავშირდება ქართველ მუსლიმანებს და ყველამ ერთად უნდა შევინარჩუნოთ მშვიდობა, ერთმანეთისადმი სიყვარული, შემწყნარებლობა და ნდობა, რის გარეშეც თანაარსებობა შეუძლებელია.

მართალია, საქართველოში ისლამის მიმდევარი მოსახლეობის მხოლოდ ათი პროცენტია, მაგრამ ეს ხალხი ქვეყნის მოქალაქეა და მისთვის აღმსარებლობის თავისუფლების უფლება არავის წაურთმევია. ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ **ქართველი მუსლიმები არასდროს ყოფილან აგრესიის მატარებელნი და მქადაგებლები, ტერორიზმის მომხრეები და სხვისი მჩაგვრელები**. ვინმემ შესაძლოა თქვას, რომ ეს ასე კი არის, მაგრამ ისიც ხომაა, რომ ქვეყანაში ძალაუფლება მათ ხელში არ ყოფილა, შესაბამისად, აგრესიის გამოხატვის შესაძლებლობაც ნაკლებად ჰქონდათო. **მაგრამ საკუთარი თავის წარმოჩენისა და სხვის დაჩაგვრის წადილი ადამიანში იმდენად ძლიერია, რომ, ძალაუფლების არქონის შემთხვევაშიც, ის რომ ყოფილიყო, ამის ნიშნები თავს აუცილებლად იჩენდა**.

დღესდღეობით მსოფლიოში იმდენად რთული პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური პროცესები მიმდინარეობს, რომ არა მგონია, ვინმემ ზუსტად შეძლოს მოვლენათა შემდგომი განვითარების სცენარის წინასწარმეტყველება. ხოლო თუ ამის გაკეთებას ვინმე იკისრებს, იგი აუცილებლად მოიტყუება, მათ შორის, თავად ისლამის სპეციალისტიც. **ამდენად, ქართველებმა აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ სიმშვიდე და არ დავუშვათ, რომ მსოფლიოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება ჩვენში ლოკალურ კონფლიქტებში გადაიზარდოს**.

რაც შეეხება ჩვენს სამეზობლოში, ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიზმის ტენდენციებს, აღსანიშნავია, რომ ესეც, ფაქტობრივად, ისლამის ინტერპრეტაციის პრობლემაა. **ვაჰაბიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც ისლამის შიგნით რეფორმისტული მოძრაობა, ანუ საღვთოების ერთგვარი გადასინჯვა წმინდა წერილის საფუძველზე**. ვაჰაბიზმის ფუძემდებლის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ხალხი დაუბრუნდეს პირვანდელ სიწმინდეს, ისლამი გაიწმინდოს ყოფითი მინარევებისგან, ეროვნული თავისებურებებისგან, რომლებიც მას საუკუნეთა მანძილზე გარკვეულ ასპექტებში ერეოდა. **ვაჰაბისტების მთავარი მოწოდებაა, რომ ხალხი აუმღვრეველ, ანკარა ისლამს დაუბრუნდეს, რომლის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ ყურანი, ასევე მოციქულ მუჰამედის ცხოვრების წესი (სუნა) უნდა იყოს, რომელიც იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა იცხოვროს ყველა ჭეშმარიტმა მუსლიმმა**. ამდენად, ვაჰაბიზმი თავის არსში რაღაც გარკვეულ საფრთხეს არ შეიცავს, თუკი აგრესიულ პროზელიტიზმს (**სხვათა საკუთარ სარწმუნოებაზე მოქცევის სურვილს – ო. ტ.**) გამოვრიცხავთ. როდესაც სხვა რელიგიებთან ურთიერთობა აგრესიულ პროზელიტიზმში გადადის (მხედველობაში მაქვს მისი მტრული გამოვლინება, თუმცა კი ის თავისთავად ყველა რელიგიას ახასიათებს), **მაშინ, ცხადია, აგრესიის გამოვლენასაც უნდა ველოდოთ, ის შეიძლება გარკეული პოლიტიკური იდეოლოგიისა და მსოფლიო ახალი და განაწილებისთვის ბრძოლებისათვის კარგი დასაყრდენი აღმოჩნდეს**.

მთელ რიგ შემთხვევაში მოვლენები გარკვეულწილად ასეც წარიმართა, რამაც ვაჰაბიზმის როგორც ტერორიზმთან წილნაყარი მიმდინარეობის სახის შექმნას შეუწყო ხელი.

რაც შეეხება ამ თვალსაზრისით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებსა და განვითარებულ მოვლენებს, უწინარესად გასათვალისწინებელია ის, რომ **ჩვენ კარგად უნდა შევისწავლოთ არსებული ვითარებისა და სამომავლო პერსპექტივების ყველა ასპექტი**. განსაკუთრებით ხაზი მინდა, გავუსვა იმ გარემოებას, რომ ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენათა აღქმა საქართველოში, უმთავრესად, უცხოური მედიის მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით ხდება – მხედველობაში მაქვს ის პროცესები, რომლებიც ისლამის სახელით მიმდინარეობს. ავღანეთს თავი რომ დავანებოთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაკნინოთ ის, რაც დღესდღეობით ხდება სირიაში.

საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით სჭირდება კონკრეტულ სიტუაციებში რეალურად სამოქმედო გეგმა, მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ განვითარებული მოვლენების საპასუხოდ. აუცილებლად საჭიროა ამ მხრივ სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომლის საფუძველი ჩემი აზრით, ის უნდა იყოს, რასაც დიდი ხნის მანძილზე ვამბობ: ბოლოს და ბოლოს ქართული მუსლიმებისთვის მშობლიურ ენაზე საჭირო, დავაფუძნოთ უმაღლესი რელიგიური სასწავლებელი, სადაც მათ სასულიერო განათლების მიღება სამშობლოში შეეძლებათ.

ამდენად, პირადად ჩემი გადასახედიდან, ისლამთან მიმართებაში დღესდღეობით ჩვენს სახელმწიფო პოლიტიკაში ბევრი რამაა დასახვეწი, რაც სპეციალისტებთან მოთათბირებით უნდა განხორციელდეს.. ზოგადად ქართული სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის პრობლემა ის არის, რომ გადაწყვეტილებას რომელიღაც რანგის მოხელე ისე იღებს, რომ ამა თუ იმ დარგში სპეციალისტების აზრს არ კითხულობს. ყოველ შემთხვევაში, ორიენტალისტიკის სფეროში საქართველოში არსებობს ძალიან კარგი სკოლა და სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოების თანამშრომლობით კარგი შედეგების მიღწევა შეიძლება.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

ტრაგედია – თანამედროვე მენეჯერული აზროვნება

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.
ხალხური

ბუნებრივად **გვებადება კითხვა, რატომ?! რატომ გვაძლევთ გაფრთხილებისკენ გადახრილ რჩევებს?! ამის მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს?! იქნებ ინფორმაციის ნაკლებობას განიცდით?! ან პირიქით, ცალმხრივი ინფორმაციის ზედმეტობას?! ჩვენ ამ საკითხებზეც გვაქვს საკმაოდ თამამი ვარაუდები, მაგრამ, თუნდაც უმამაცეს თეორიულ ვარაუდებზე ეფექტური, იმ ადამიანთა წარსულის ახლოდან ჩვენება იქნება, რომლის დავიწყებასაც ჩვენგან ასეთი დაჟინებით ითხოვთ.** ქვემოთ ზუსტად ამას შევეცდები.

თანაც, რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, არც ერთ გახმაურებულ და შემზარავ ფაქტზე არაფერს ვიტყვი, ისინი ისედაც იცის ყველამ, იმათაც იციან, ვისაც მათი დანახვა არ სურთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გირგვლიანის მკვლელობის ისტორიას ხომ უნდა იცნობდეთ. ევროპარლამენტის მეზობლად რომ ევროსასამართლოა, იმ სასამართლომ დაადგინა ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებთან ერთად იმ მკვლელობაში სააკაშვილის ბრალეულობაც. იმედია, ევროსასამართლოსაც არ დააბრალებთ სააკაშვილის პოლიტიკური ნიშნით დევნას.

მოკლედ, ასეა თუ ისე, გპირდებით, რომ დროებით დავივიწყებ ყველა გახმაურებულ საქმეს და შევეცდები, სულ სხვა კუთხით დაგანახოთ ნაციონალური მოძრაობის განუმეორებელი წარსული.

სწორედ დეტალების ყვირილით გაიგებთ, 9 წლის მანძილზე როგორი ხელისუფლება ჰყავდა საქართველოს. ისინი ისე მძლავრად და ისეთი სასოწარკვეთით ყვირიან, რომ წესით, მათი ხმის გაგონება სტრასბურგშიც არ უნდა გაუჭირდეთ, თუკი ყურს დაუგდებენ.

ყურადღებით! ვიწყებთ ეჭვმიტანილი ნაციონალური მოძრაობის დეტალური სიტყვიერი პორტრეტის შექმნას. ცხვირი ჰგავს?! ჰგავს, ოღონდ ცოტა დაუგრძელეთ, ყველგან ჩაყოფა უნდა შეძლოს! ბაგეებზე და ნიკაპზე რას იტყვით?! კი ორივე ჰგავს, ოღონდ ცოტა დამცინავი იერი მოუმატეთ. შუბლი? შუბლი თუ ჰგავს?! შუბლიც ჰგავს, ოღონდ ძარღვი მოაცილეთ, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი ჰქონდათ.

ქართველებს ერთი ასეთი გამოთქმაც გვაქვს, **სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო...** საკუთარ თავზე მაქვს ამ ანდაზის ჭეშმარიტება გამოცდილი. ჩემი ქვეყნიდან შორს მოკალათებული უსამართლობა, ვერ ვიტყვი, რომ საერთოდ არ მაწუხებდა, მაგრამ, გაცილებით ნაკლებად, ვიდრე საკუთარი. ამიტომაც ვერავის მოვთხოვ, მე თუ მეტირება, შენც ცრემლები გადმოყარე-მეთქი. არა ბატონებო, ამას არ გთხოვთ, მით უმეტეს რომ თანაგრძნობის მათხოვრობაც არაა მთლად ღირსეული საქციელი. მე მხოლოდ ელემენტარული თხოვნა მაქვს. როცა ჩემს ქვეყანაში მონატრებულმა სიახლის ქარმა დაუბერა და წისქვილების შენება დავიწყეთ, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ამდენი დანაშაულის ჩამდენ უზნეო ადამიანებს, პოლიტიკური შეფერილობის კედლებს ნუ აუშენებთ, ისინი სულ სხვაგან და სულ სხვა შეფერილობის გისოსებიან კედლებს იმსახურებენ.

დეტალები კი იმდენი ყვირის ერთდროულად, რომ, ვეღარც კი ვარკვევ, რომელს ჩავავლო ყურში ხელი და რომელი მოვათრიო ფურცელთან. ყველა მათგანი იმდენად უღირსია, იმდენად უზნეო, რომ სწორედ მოთრევას იმსახურებს.

პირველი ასეთი დეტალი ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის პრაქტიკულად პირველივე დღეებში აყვირდა, მაგრამ მაშინ იმდენად ძლიერი იყო ხალხში ახალი ხელისუფლების რწმენა, რომ იმ ყვირილს პრაქტიკულად ყველამ წაუყრუა.

ახალგაზრდა, იმედად მოსულმა პრეზიდენტმა ქვეყნიდან პირველი ოფიციალური გასვლისთვის ჯერ ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით ისარგებლა, ხალხთან ერთად იმგზავრა, შინაურსაც და გარეულსაც გააგებინა, ნახეთ, რა უბრალო ადამიანი ვარო, მერე უკან დაბრუნდა და პირველი რაც დასამახსოვრებელი გააკეთა, ახალგაზრდა ჟურნალისტის დათო ბოლქვაძის მკვლელი გამოუშვა ციხიდან.

არ ვიცი სხვებს როგორ, მაგრამ მე გონებაში სამუდამოდ ჩამებეჭდა იმ მხეცურად მოკლული ბიჭის დედა, წარმოსადეგი და სანდომიანი ქალბატონი, რა სასოწარკვეთილი ხვეწნა-მუდარით მიმართავდა სააკაშვილს, ნუ იზამთ ამას, ბატონო პრეზიდენტო, ნუ გამოუშვებთ ჩემი ბიჭის მკვლელს ციხიდან, დამპირდით ბატონო პრეზიდენტო, რომ ამას არ გააკეთებთ... დაპირდა, კიდევაც ყველას თვალწინ, საჯაროდ... ისე დაპირდა, სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხევია.

ვეღარ ვიხსენებ, რამდენი დღე იყო გასული ამ დაპირებიდან?! სამი?! ოთხი?! იქნებ ხუთი?! მართლა ვეღარ ვიხსენებ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, **მთავარი ისაა, რომ გამოუშვა. პირველივე სიტყვა გატეხა პრეზიდენტმა და ციხიდან გამოუშვა ადამიანი, რომელმაც უამრავი ხალხის თვალწინ საკუთარი ხელით დახვრიტა ახალგაზრდა კაცი, საზოგადოებრივი ტელევიზიის ოპერატორი, ხელში კამერითა და სახეზე ღიმილით რომ იდგა და გაოცებული უცქერდა სიტუაციის აბსურდულობას.**

იმ მკვლელისგან დავალებული იყო პრეზიდენტი. ვარდების რევოლუციის დროს თავისი რეგიონიდან ხალხი გამოაყოლა სააკაშვილს, დაქირავებულები იკარუსებით ჩამოიყვანა თბილისში და თვითონ რომ შევარდნაძეს გაცოფებული უყვიროდა, გადადექი, გადადექიო, ის ხალხი ამ დროს ზურგს უმაგრებდა. ჰოდა, გამოუშვებდა, აბა რას იზამდა! **როცა ძალაუფლებაზეა საუბარი, სააკაშვილისთვის დედის ვედრება და მსგავსი სენტიმენტალური სისულელეები სიზმარზე ადვილად დასავიწყებელი გახლდათ.**

აი ეს იყო პრეზიდენტის პირველი სიცრუე. არა, სიცრუე არ ვარგა, თვალთმაქცობა სჯობია. აი, ეს იყო პრეზიდენტის პირველი თვალთმაქცობა. არა, არც ეს მომწონს, ორივე ძალიან ლმობიერია. ჩემი აზრით, რაც პრეზიდენტმა ჩაიდინა, საზიზღრობა იყო. პრეზიდენტის პირველი საზიზღრობა. ხომ გაგიგონიათ, დაწყებაა ძნელი, თორემ მერე და მერე ყველაფერი ადვილდებაო. ჩვენი პრეზიდენტისთვის, პირიქით, დაწყება არასოდეს ყოფილა ძნელი, მას ყოველთვის დამთავრება უჭირდა. როცა თანდათან ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტს მჟავე ჰალსტუხების ღეჭვისგან სიბრძნის კბილები ჰქონდა მოკვეთილი, ბუნებრივია, ხალხის პროტესტმაც იმატა, შესაბამისად მისმა საზიზღრობებმაც იმატა და ბოლოს ისეთი ნიაღვარი დაგვატყდა თავს, რომ, ახლა ყველაფრის გახსენება უბრალოდ შეუძლებელი ხდება.

ამიტომ, მე მხოლოდ იმ დეტალებს ავაყვირებ თუ ავახმაურებ, რომლებიც საკუთარმა გონებამ ამომიტივტივა. დარწმუნებული ვარ, რომ სტატიის გამომზეურების შემდეგ ბევრი უცნობი თუ ნაცნობი შემეხმიანება და მისაყვედურებს, ეს და ეს საზიზღრობა რატომ გამოგრჩაო. გპირდებით ყველას, რასაც გამახსენებთ, უეჭველად ჩავინიშნავ და მერე სათანადო ადგილს მივუჩენ. სად?! ამასაც მალე შეიტყობთ, რამდენიმე გვერდის იქით.

მორიგი მიტინგი დაინიშნა რიყეზე, რუსთაველის პროსპექტიდან ხალხი ზღვარგადასული სისასტიკით ერთხელ უკვე დარბეული და გამოძევებული იყო. რიყეზე კი, ისევე როგორც მთელ საქართველოში, **ზამთარი იდგა, ცივი დღეებითა და კიდევ უფრო ცივი ღამეებით ითოშებოდა თბილისი. ნაციონალებმა ზუსტად ამით ისარგებლეს, ღამით სახანძრო მანქანები მიაყენეს მომავალი მიტინგის ადგილს და გედების ტბად გადააქციეს იქაურობა. დილით მიტინგზე მისულ ათასობით ადამიანს ის გედების ტბა გაყინული დახვდა.გედების ნაცვლად პინგვინებად გადაიქცა ყველა, ბაჯბაჯი, მოკლემოკლე ნაბიჯებით მიიწევდნენ ტრიბუნისკენ. გზადაგზა ეცემოდნენ, წამოდგებოდნენ და ისევ ეცემოდნენ.** განსაკუთრებით ხანდაზმულებსა და ქალბატონებს უჭირდათ. ერთი კასპიდან ჩამოსული ახალგაზრდა კი იმდენად უხერხულად დაეცა, რომ, კეფა დაარტყა ქვასავით ყინულს და კარგა ხნით გონება დაკარგა.

კიდევ ერთი მიტინგი. მთელი საქართველო თბილისისკენ დაიძრა. გაზაფხულია, ან შემოდგომა, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, გედების გაყინულ ტბაზე იმპროვიზირებულ ბალეტს ვეღარ გაახერხებდნენ ნაციონალები, რამე სხვა უნდა მოეფიქრებინათ. მოიფიქრეს კიდეც, გედების ტბაზე უკეთესი. **ჯერ მატარებლებზე ბილეთების გაყიდვა აკრძალეს. ხალხი ხედავდა რომ ვაგონები ცარიელი იყო, მოლარეები კი ურცხვად ირწმუნებოდნენ, ბილეთები აღარ გვაქვსო. მაშინვე მანქანებს, მინიბუსებსა და ავტობუსებს მიაწყდნენ. უზარმაზარი კოლონა დაიძრა თბილისისკენ, მაგრამ, ბელადმა ბრძანა, კოლონამ თბილისამდე არ უნდა ჩამოაღწიოსო. ადგნენ და კილომეტრნახევარი სიგრძის ნახევრად ჩაბნელებულ გვირაბში ერთმანეთზე თავებით მიდუღებული მოზრდილი ლურსმნები დაყარეს, თანაც გვირაბის შუაწელში, რაც შეიძლება დიდი ხნით რომ ჩახერგილიყო გზა და რაც შეიძლება დიდი პანიკა რომ გამოეწვიათ.**

არც ბავშვებზე ფიქრობდნენ, არც უცხოეთიდან მომავალ სატრანზიტო ტრანსპორტზე და არც იმ ხალხზე, მიტინგზე დასწრება აზრადაც რომ არ მოსვლიათ და თავიანთ საქმეებზე რომ მიეჩქარებოდათ. ყველა გაწირეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რკინის ღობესთან შემდეგი მიტინგი ახალგაზრდებმა მოაწყვეს. ისინი პოლიციის ერთ-ერთ, დღემდე გაუგებარ ოპერაციას აპროტესტებდნენ, მათი რამდენიმე თანატოლი მანქანაში რომ ჩაცხრილეს, იმას. რკინის ღობეს სისხლისფერი საღებავი მიასხეს და თან მერაბიშვილის გასაგონად ყვიროდნენ, „მკველელებო! სისხლის მსმელებო“!

გამოლაგდნენ ამ დროს აივანზე მერაბიშვილის დაგეშილი „მაგარი ბიჭები“, ეგრეთ წოდებული „ვაზდუშკა“ თოფი გამოიტანეს და როგორც ტირში ჩამწკრივებულ ბაჭიებს, ისეთივე გამეტებით ესროდნენ თანატოლებს. ყოველ მიზანში მოხვედრილი ტყვიას კი საერთო ოვაციებით ხვდებოდნენ.

ისევ ახალგაზრდობის პროტესტი. ისევ ტრადიციული „მკვლელებო!“ და „სისხლის მსმელებო!“. თოფის ნაცვლად ამჯერად წყლით სავსე რეზინის საწოვარები ყუმბარებივით დააყარეს ხალხს ზემოდან და თან სიცილით იხოცებოდნენ.

საღამოს კი ერთ-ერთი წარჩინებული, ნაციონალი ტელეეკრანიდან ასეთ კომენტარს აკეთებს, დიდი ამბავი, ზაფხულია, ძალიან ცხელა და ხალხს გასაგრილებლად გადმოასხეს წყალიო...

საპარლამენტო არჩევნებში, „ქართული ოცნების“ კოალიციიდან ზაზა გოქსაძე თერჯოლის რაიონის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს. იგი სააკაშვილის ნათესავი გახლდათ და აბა მიშა ასეთ ღალატს როგორ აპატიებდა, მაშინვე ბრძანება გასცა, არ მაინტერესებს როგორ, მაგრამ, არჩევნები არ უნდა მოიგოსო. **2000 ჯარისკაცი მოხსნეს დისლოკაციის ადგილიდან, სამხედრო მანქანებში ჩასხეს და ერთი დღით თერჯოლაში გადაიყვანეს, ნაციონალების კანდიდატის სასარგებლოდ ჩააყრევინეს ბიულეტენები და საღამოს უკანვე დააბრუნეს.** აი, ამ მარტივი და უმტკივნეულო ოპერაციის შედეგად ზაზა გოქსაძის ნაცვლად ერთ-ერთი წარჩინებული ნაციონალი ამაყად დააბიჯებს პარლამენტის დერეფნებში.

რადგან არჩევნებს შევეხე, **სააკაშვილის კიდევ ერთ უტიფრობასაც გაგახსენებთ ბარემ, საკმაოდ რომანტიული სახელი „ღიმილიანი საქართველო“ თავადვე რომ დაარქვა. ვისაც კი საქართველოში კბილები ჰქონდა სამკურნალო, ყველას უფასო მკურნალობას დაპირდა ხმების სანაცვლოდ. ხალხმა იფიქრა, არიქა, ავშენდითო და მიაწყდა კლინიკებს. კბილები დაძრობით ყველას დააძვრეს, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ არჩევნებამდე ჩასმას ვეღარ მოასწრებდნენ. ამასობაში არჩევნებიც წააგეს და სააკაშვილს ხალხის კბილები კი არა, საკუთარი დედა აღარ ახსოვდა. კიდევ ერთხელ დატოვა ხალხი პირში ჩალა კი არა, ამჯერად პროტეზგამოვლებული.**

არ ვიცი, როგორ მოვიძიო, თორემ იმ სატელევიზიო კადრსაც სიამოვნებით შევთავაზებდი ევროპელ მეგობრებს, „ღიმილიანი საქართველოს“ ერთ-ერთი მონაწილე თავისი უიღბლობის საილუსტრაციოდ უკბილო ნუნებს რომ გვიჩვენებდა და თვალცრემლიანი ამბობდა: ნახეთ, რა მიყო მაგ მამაძაღლმა სააკაშვილმაო...

მორიგ სისაძაგლეს ერთგვარი ტესტის სახით შემოგთავაზებთ. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი, **გმირთა მოედანზე, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ბიჭების მემორიალთან, ხელისუფლებისაგან პრაქტიკულად შიმშილით სიკვდილისათვის განწირული ომის ვეტერანები მშვიდობიან, მწოლიარე საპროტესტო აქციას მართავენ.**

ამ დროს იქ, ტრადიციულად, უზარმაზარი ესკორტით მიხეილ სააკაშვილი გამოივლის და იკითხავს, ესენი ვინ არიან და რა უნდათო. ასე და ასეო, უპასუხეს, ომის ვეტერანები არიან, ხეიბრები, სიცოცხლის უფლებას ითხოვენო.

ძალიან უბრალო კითხვა მაქვს: როგორ მოიქცეოდა ამის გამგონე ქვეყნის მთავარსარდალი? ოთხ სავარაუდო პასუხსაც აქვე შემოგთავაზებთ:

1. პრეზიდენტი კორტეჟს შეაჩერებდა, მივიდოდა ომის ვეტერანებთან, მათ პრობლემებს მოისმენდა და შეესაძლებლობების ფარგლებში იმ პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებოდა.

2. პრეზიდენტი დროის სიმცირის გამო ვერ გაჩერდებოდა, მაგრამ თანაშემწეს დაავალებდა, რომ ყველაფერი გაერკვია და იმავე საღამოს მის მაგიდაზე დაედო დეტალურად ჩამოწერილი პრობლემების ნუსხა.

3. პრეზიდენტი მანქანიდანვე დაავალებდა თავდაცვის მინისტრს, მისულიყო ომის ვეტერანებთან და ყველაფერი ადგილზე გაერკვია.

4. პრეზიდენტი რეაქციის გარეშე ჩაუვლიდა ომის ვეტერანების საპროტესტო აქციას.

მე სავარაუდო პასუხების ოთხი ვარიანტი შემოგთავაზეთ. ოთხივეს აქვს არსებობის უფლება და მეტ-ნაკლებად ოთხივე მისაღებია, მაგრამ, სააკაშვილი, აბა, როდის მოქცეულა ადამიანურად,ახლა რომ მოქცეულიყო.

თემურ ჭკუასელი,
საქართველოს პარლამენტის წევრი, მწერალი, მომღერალი.
www.reportiori.ge

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 138

ნიკოლოზ თოდუა

უფალმა ქრისტეშობის თვე დაანათლა ამქვეყნად მოვლენისა და სამუდამო სასუფეველში გადაბრძანების თარიღად – 1924 წლის 13 დეკემბერს დაიბადა სამურზაყანოს ულამაზეს სოფელ ოტობაიაში. ცხრა ათეულ წელს მიღწეული 2010 წლის 11 დეკემბერს განერიდა საწუთროს – გაჩერდა ნაომარი და ნაშრომი კაცის, სამშობლოს სამსახურში დამაშვრალი ადამიანის დაღლილი და ათასგზის ნატკენი გული. ბობოქარი ცხოვრებით იცხოვრა და დატოვა სახელი, რომლითაც ყოველთვის იამაყებს მისი შთამომავლობა.

თავიდანვე ვიტყვი ჩემს სათქმელს: მემატიანე, ალბათ, წერს მე–20 საუკუნის სამურზაყანოს ისტორიას და ამ ისტორიის ერთ–ერთი თავფურცელი უდავოდ უნდა იწყებოდეს სულმნათი ნიკოლოზ აქვსენტის ძე თოდუათი – ადამიანით, ვისაც უშურველად დაუღვრია სისხლი და ოფლი მშობელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გლეხის ოჯახში იზრდებოდა დუხჭირ დროს. საშუალო სკოლა 1941 წელს დაამთავრა და ომის დაწყებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. 1947 წლამდე მსახურობდა ჯარში და პოდპოლკოვნიკის ჩინით დაუბრუნდა სამოქალაქო ცხოვრებას. – სწავლობდა უმაღლეს პარტიულ სკოლაში, დაასრულა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტის სრული კურსიც. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

1947 წელს, 23 წლის ნიკოლოზ (კოლია) თოდუას ირჩევენ კომკავშირის გალის რაიკომის პირველ მდივნად.

შემდეგ იყო სამეურნეო ფრონტი: სხვადასხვა დროს იგი სათავეში ედგა ისეთ დიდმნიშვნელოვან ობიექტებს, როგორიც არის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი, საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება. 1980 წლიდან პენსიაზე გასვლამდე კი იყო ჯერ გალის მეჩაიეობის, ხოლო შემდგომ მზიურის მეციტრუსეობის მეურნეობის დირექტორი.

1972-1980 წლებში კი ბატონი კოლია სახალხო დეპუტატთა გალის რაიონული საბჭოს აღმასკომს თავმჯდომარეობდა, სადაც მისი მოღვაწეობა არაერთგზის აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით, ორჯერ იყო არჩეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

იმხანად მეც აღმასკომის თავმჯდომარედ ვმუშაობდი ჩემს მშობლიურ წალენჯიხის რაიონში. ბატონი კოლია ჩემი უფროსი მეგობარი, კოლეგა და კეთილი დამრიგებელი იყო, რომლის გვერდით ყოფნამ ბევრი რამე მომცა. იგი პირადი მაგალითის ძალით ზრდიდა არა მარტო თავის შვილებს, არამედ მთელს თაობებს, ვისთანაც კი საქმიანი და ახლო ურთიერთობა ჰქონია.

18 წლით იყო ჩემზე უფროსი, მაგრამ ასაკობრივი სხვაობა ჩვენს ძმობასა და მეგობრობას ხელს არ უშლიდა. მასთან ყველა შეხვედრა ჩემთვის პატარა ზეიმი იყო და ახალი შეხვედრების სურვილს აღძრავდა. ძალიან ახლოს მიმიშვა, ტოლს-წორად მივაჩნდი და თავს მიყადრებდა. მე მაქსიმალურად ვცდილობდი, თავდაჭერილი ვყოფილიყავი და არაფერი შემშლოდა ურთიერთობაში.

გავიდა წლები და ჩვენ ორთავენი აგროსამრეწველო კომპლექსში აღმოვჩნდით მეურნეობათა ხელმძღვანელებად: ბატონო კოლია 1980 წელს გალის მეჩაიეობის საზოგადოებრივი მეურნეობის დირექტორად დაინიშნა, მე 1978 წლიდან უკვე ვიყავი წალენჯიხის ჩაის მეურნეობის დირექტორი.

პირადად ვარ იმის მოწმე, თუ როგორი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა იგი ქვეყნის აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემაში.

ბატონ კოლიასთან ჩემს ურთიერთობას თავისებურ დატვირთვას აძლევდა ცნობილი სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე, გაგრის ზონის ალახაძის მეციტრუსეობის მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, სულმნათი გენადი პეტრეს ძე ქირია. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდა ერთმანეთთან. მეც სიახლოვე მქონდა ბატონ გენადისთან, რადგან იგი ახალგაზრდობის წლებში, ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე, წალენჯიხაში მუშაობდა მიწათმოქმედების რაიონული განყოფილების, ანუ მიწგანის მთავარ აგრონომად. შემდეგ გავიდა წლები. ბატონი გენადი აფხაზეთში გადავიდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. მისმა დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და თავდადებამ საქმეში იჩინა თავი და იგი საქართველოში ერთ-ერთი სანიმუშო საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი გახდა.

მაშინ იყო ასეთი პრაქტიკა: ჩაის კრეფის სეზონის დამთავრების შემდეგ, აგროსამრეწველო კომიტეტის დავალებით მანდარინის კრეფაში დასახმარებლად გაგრაში ვაგზავნიდით დიდძალ მუშახელს. ბუნებრივია, ამ ღონისძიებებში აქტიურად ვიყავი ჩართული და სისტემატური კონტაქტები მქონდა ბატონ გენადისთან.

მხოლოდ ერთი წინადადებით: გენადი ქირია გარდაიცვალა 1987 წელს. თბილისში დაასაფლავეს 14 მაისს. ვიყავი მისი დამკრძალავი კომისიის წევრი და სამგლოვიარო მიტინგზე პატარა გამოსვლაც მომიწია. ცხადია, ბატონი კოლია, როგორც გენადი ქირიას უახლოესი მეგობარი, პროცესიას თავიდან ბოლომდე ესწრებოდა.

კოლია თოდუას პიროვნებაში საოცრად ჰარმონიულად იყო შერწყმული ადამიანურ ღირებულებათა

...კაცისა ჰქონდა ყველა თვისება

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

გენადი ქირია და ვალერი ჭანტურია

თვალში საცემი ორი საწყისი: ერთი მხრივ, ის იყო ევროპულად განათლებული და წიგნიერი ადამიანი, დიდი ერუდიტი და ინტელექტუალი. აკი მთელი ხუთი წელი მართლაც ხომ ცხოვრობდა ევროპის შუაგულში, ქალაქ ვენაში, სადაც საბჭოთა კავშირ-ავსტრიის საერთაშორისო საკონტროლო კომისიის შემადგენლობაში მოღვაწეობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე; მეორე მხრივ, კოლია თოდუა გახლდათ თხემით ტერფამდე ქართველი კაცი, ქართული ტრადიციების დამფასებელი და ეროვნული მუხტის მატარებელი მამული შვილი.

ზერელედ განათლებული, გაზეპირებული ფრაზებით, პოზიორობით, დამუშავებული მიმიკით და ჟესტიკულაციით პოპულარობის მაძიებელი ბევრი მაღალი თანამდებობის პირისგან განსხვავებით, ბატონ კოლიას ამშვენებდა სისადავე, თავმდაბლობა, გულწრფელობა და უშუალობა. ხალხის წიაღიდან გამოსული და ხალხის ცხოვრებით ნაცხოვრები ადამიანი იყო და ამიტომაც უყვარდა ყველას, დიდსა და პატარას. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მიმწუხრის ჟამს კოლია თოდუა გალის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ავ-კარგიანი კაცი იყო, იცოდა შრომის ყადრი, იცოდა გაჭირვება და დალხინება, ადამიანის გასაჭირის გულთან მიტანა. თვითონაც ხომ, ფაქტობრივად, ობლობაში გაიზარდა და ვინ, თუ არა მან, კარგად უწყოდა ობლის კვერის ძნელად გამოცხობის „ფილოსოფია“.

მუდამ შევნატროდი და დღემდე მაოცებს ის, რომ კოლია თოდუა, რომელიც ლამის შვიდი ათეული წელიწადი სათავეში ედგა გალის რაიონის დიდ შრომითს კოლექტივებს, რვა წელიწადი იყო რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში, რომელსაც ცხოვრების გზაზე, პირველი პირის ამპლუაში, ვინ იცის, რამდენ ადამიანთან ჰქონია შეხება და რამდენი წინააღმდეგობა შეხვედრია, როგორ ახერხებდა იმას, რომ უკონფლიქტოდ და საყოველთაო პატივისცემით გაევლო წუთისოფელი. არადა, ახერხებდა, თანაც – ვირტუოზულად. მართლაც რომ, ბრავო! მართლაც რომ, გულწრფელად მოგინდება, ტაში დაუკრა მის უდიდებულესობას – პიროვნებას!

სიდარბაისლე და მიზნის სიცხადე, მაღალორგანიზებულობა, პრობლემის გააზრება და მისი გადაწყვეტის ოპტიმალური გზებისა და საშუალებების ძიება იყო ის სტილი, რომელიც წითელ ზოლად გასდევდა მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ბედის ირონიით თუ უფლის ნებით, ჩვენი უბედური ქვეყნის თავზე დატრიალებული ტრაგედიის გამო კოლია თოდუა ვერ დაიტირა სრულიად საქართველომ, საინფორმაციო ვაკუუმმაც თავისი საქმე გაიკეთა.

ცხოვრებაში ხდება ისე, რომ ადამიანს ზოგჯერ ტვინი გადაეკეტება და დოყლაპიად იქცევა. რას იზამ, როგორც იტყვიან, „ვინც არ შესცოდა, როგორ განვლო წუთისოფელი.“ განა ქართველმა კაცმა არ ბრძანა, რომ „ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებაო“.

აბსოლუტურად პატიოსნად, ყოველგვარი კეკლუცობისა და ყალბი თავმდაბლობის გარეშე გულახდილად ვაღიარებ, რომ ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია ერთი რამ: აფხაზეთთან მიმართებაში შექმნილი მწარე რეალობის მიუხედავად, მას მერე, რაც რამდენადმე ჩაცხრა ურთიერთდაპირისპირების მუხტი, იყო ენგურსგაღმა გადასვლის მექანიზმი და გალში ჩარჩენილი ბატონი კოლიას თუნდაც ერთხელ მონახულების შანსი. მეტიც , შეიძლებოდა მისი წალენჯიხაში მოწვევაც, მაგრამ...

კოლია თოდუას ამშვენებდა დიდი და ლამაზი ოჯახი. ხუთი საამაყო შვილის აღმზრდელი მამა იყო. გულსატკენია, რომ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი გურამ თოდუა უდროოდ აღესრულა 2014 წლის აგვისტოში.

ბატონ კოლიას მხარს უმშვენებდა უსპეტაკესი ადამიანი, სათნოებით, ღირსებითა და კდემამოსილებით შემკობილი თანამეცხედრე ქალბატონი ნინა ეზუგბაია-თოდუასი. სხვათა შორის, ნინას ძმა იყო მთელს აფხაზეთში კულტურითა და განათლებით გამორჩეული პიროვნება, რაფინირებული ინტელიგენტი, ცნობილი სამეურნეო ხელმძღვანელი, ჩვენი ძვირფასი მეგობრისა და თანამებრძოლის ოთარ ეზუგბაიას მამა. ბატონი მირიან ეზუგბაია, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ ეს ის მირიან ეზუგბაიაა, რომელსაც ჯერ კიდევ სტუდენტს, 1940 წელს გამოჩენილმა ისტორიკოსმა, „სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის“ ავტორმა სერგი მაკალათიამ წიგნის წინასიტყვაობაში მადლობა გადაუხადა ნაშრომის მომზადებაში დახმარების გაწევისათვის.

...ჩემი ცხოვრებაც ფინიშის სწორზე გავიდა. ვიცი, რომ უფლის ნებით ამ ქვეყანაზე ჩემი ბოგინი კიდევ რამდენიმე წელს თუ გასტანს. როგორც არ უნდა იყოს, სანამ სული მიდგას ყოველი წლის 13 დეკემბერს წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების წმინდა ტაძარში სანთელს ავუნთებ ბატონ კოლიას და უფალს შევავედრებ მის უკვდავ სულს. ამასობაში, იქნებ ქართველმა და აფხაზმაც იპოვონ კიდეც ერთმანეთის გულებისაკენ სავალი გზები და მოგვეცეს ენგურგაღმა ჩვენთვის ძვირფას საფლავებთან მისვლის საშუალება.

იმედი ვიქონიოთ!

იმედი ხომ ბოლოს კვდება!

ვალერი ჭანტურია,

საქართველოს ორი მოწვევის პარლამენტარი.

P. S. და თურმე ბოლომდე მაინც არ ვიცნობდი ბატონ კოლიას. ხელთ მიჭირავს ჩემთვის აქამდე უცნობი მისი ლექსების კრებული – „ჩემი სამურზაყანო“. რა მშვენიერი პოეზიაა, რა მადლიანი ქართული, რა ლექსიკა, რა განცდები, რა ტკივილითა და სევდით ნაზიარები ფრაზები.

მართლაც რომ, „შენ კაცი იყავ, გქონდა კაცის ყველა თვისება“.

ნათელი დაგადგეს, დიდებულო ადამიანო!

ვ. ჭ.

ნიკოლოზ თოდუას წალენჯიხელი მეგობრები მოსე კვარაცხელია და ვარლამ ლუკავა

ლიდერი ქართულ პოლიტიკაში

(ზ. გამსახურდია, ე. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი, ბ. ივანიშვილი)

რაოდენობრივად მცირე და სოციალ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი ან დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისთვის „ერის მხსნელი," „მამულის გადამრჩენი," „დამოუკიდებლობის მომპოვებელი," „ქვეყნის გამამთლიანებელი," „ამღორძინებელი," ქარიზმული ეროვნული ლიდერების პერმანენტული ძიება, საქართველოს მსგავსად, ბუნებრივი მოთხოვნილებაა. ქარიზმული ლიდერის მომლოდინე ხალხის პოლიტიკური აქტივობა ახალი ლიდერის ძიებითა და ემოციური მხარდაჭერით შემოისაზღვრება.

„ქართლის ცხოვრება" მეფეთა ისტორიადაა წარმოდგენილი და ამას ქართველ მეფეთა ნაწილის ერისათვის თავდადებული ცხოვრების გარდა, დამოუკიდებლობისათვის მუდმივი ბრძოლაც განაპირობებდა. საბჭოთა ისტორიამ, სტალინის ქარიზმულმა პიროვნულმა თვისებებმა, გარკვეულწილად განამტკიცა ლიდერისა და ბელადის რწმენის ტრადიციები. ამის ანარეკლია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, კულტურა და ხალხის შემოქმედება, რომელშიც დიდი ბელადის გაიდეალებული პორტრეტები იყო განსახიერებული.

გარდამავალი პერიოდის საქართველოში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, ქარიზმული ლიდერისადმი რწმენის ისტორიულმა ტრადიციამ სპონტანური აღორძინება და ახალი გარდასახვა ჰპოვა ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილის. ბ. ივანიშვილის პიროვნებებში.

ზვიად გამსახურდიას სახელს, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ეროვნული დამოუკიდებლობის და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის რომანტიკულ იდეებს უკავშირებდა. იგი განსწავლული, ერუდირებული პიროვნება იყო კარგი ფიზიკური მონაცემებით; პირად ბედნიერებას, რომლის ყველა პირობა ჰქონდა, ამჯობინა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აშკარა ბრძოლა და ამ მიზნით დისიდენტური მოძრაობის, ეროვნული იდეალებისთვის მებრძოლ რადიკალურ ფრთას ჩაუდგა სათავეში. ზ. გამსახურდიას ქვეყნის შიგნით ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავდა, ხოლო გარეთ ყველაზე ნაკლები დასახელებულ ლიდერებს შორის. იგი იყო ტიპური ქარიზმული ლიდერი, რომელიც ვერ გარდაიქმნა ბიუროკრატიულ-რაციონალურ ლიდერად და პრეზიდენტის რანგშიც დისიდენტად, უკომპრომისო ადამიანად დარჩა. ეროვნული იდეალების, ეკონომიკური რესურსების გადაჭარბებული შეფასებებით, კომუნისტურ ნომენკლატურულ, პრივილეგირებულ ელიტასთან, ინტელიგენციასთან, ოპოზიციასთან დაპირისპირებით, სახელმწიფოს მართვის ხელოვნების უცოდინარობით და ქრისტიანულ-მორალური პრინციპების ერთგულებით მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი მარცხი პოლიტიკურ სცენაზე.

სახელმწიფო გადატრიალებამ, მძიმე კრიმინოგენურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ გააუფასურა ეროვნული დამოუკიდებლობის რომანტიკული იდეები. დამოუკიდებლობა ასოცირებული იქნა ყველა სირთულესთან, რომელიც კი შეიქმნა ქვეყნის შიგნით და გარეთ, ამიტომ, მოსახლეობის ბუნებრივ მოთხოვნილებად იქცა სტაბილურობის და ქვეყნის ამღორძინებელი გამოცდილი ლიდერის ძიება და ასეთ პიროვნებად მოგვევლინა მოსკოვში „ხელისუფლების მომლოდინე" ედუარდ შევარდნაძე.

ე. შევარდნაძის ჩამოსვლას პოლიტიკური ძალები (მათ შორის, ხუნტა) და მოსახლეობის ნაწილი ქვეყნის სტაბილურობას, საერთაშორისო მხარდაჭერას და ეკონომიკურ წინსვლას უკავშირებდა. მაგრამ, თავდაპირველად, საქართველოში პოლიტიკოსების და საზოგადოების კრიმინალიზაციის პროცესმა არნახული მასშტაბები მიიღო **ორხელისუფლებიანობის** დროს, როცა ქვეყანას „შევარდნაძე-იოსელიანი" მართავდნენ; შეიქმნა „მხედრიონის" ცენტრალური და რეგიონალური განშტოებები.

დიდი მსხვერპლის ფასად ე. შევარდნაძემ შეძლო პოლიტიკური პროცესების სამართლებრივ ჩარჩოებში ჩასმა მაგრამ ერთმანეთში აურია სახელმწიფოებრივი ინტერესები და დასავლეთის ლიდერებთან პირადი ურთიერთობები, მაშინ წამოიწყო ავანტიურისტული ომი (შევარდნაძე დამნაშავედ იოსელიანსა და კიტოვანს მიიჩნევდა), აფხაზეთთან, როცა დასავლეთის ინტერესების სფეროში ბალტიისპირეთის საკითხი იდგა. იგი ბუნებამ დააჯილდოვა დიპლომატის ნიჭით, საქართველოს შეუქმნა ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური გარემო სატრანზიტო ფუნქციის რეალიზაციისთვის, ფლობდა ხელისუფლების შენარჩუნების საოცარ ხელოვნებას. მის დროს დამკვიდრდა არჩევნების გაყალბების ცნობილი და ახალი, ქართული ტექნოლოგიები, გაჩნდა „ცრუ ოპოზიციის" ცნება.

ე. შევარდნაძის ნეონომენკლატურული ელიტის მმართველობის დროს ფართო გასაქანი მიეცა ტოტალურ კორუფციას, დაირღვა ტერიტორიული მთლიანობა, შეიქმნა მძიმე სოციალ-ეკონომიკური და კრიმინოგენური მდგომარეობა: ქვეყანამ მიიღო არშემდგარი სახელმწიფოს სტატუსი; ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა „ქართული დემოკრატიის" და „პოლიტიკური თამაშის წესების" სპეციფიკური ფორმა; სიტყვის, პრესის, მაუწყებლობის წრეგადასული თავისუფლება, „უსარგებლო პლურალიზმი."

ასეთ სიტუაციაში, „მოქალაქეთა კავშირის" ყველაზე „ერთგულ" მებრძოლებს შორის გამოიკვეთა ოპოზიციური ძალა, ქარიზმული ლიდერის მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.

2003 წლის რევოლუციური მოვლენების შედეგად, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ტერიტორიული მთლიანობის ერთ საპრეზიდენტო ვადაში აღდგენის დაპირებების და კორუფციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის ფონზე, ხელისუფლებაში მოვიდა ქარიზმული ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც საქართველოს ისტორიაში პირველად ჰქონდა ერთდროულად საშინაო და არნახული საგარეო მხარდაჭერა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: რომ არა მიხეილ სააკაშვილის ქარიზმული თვისებები, „ხალხის ენაზე" საუბრის და „ხალხის ნაწილად" წარმოსახვის უნარი, ალბათ, წყალში გადაყრილი აღმოჩნდებოდა დასავლური დაფინანსება, სოროსული არასამთავრობოების მცდელობები.

მ. სააკაშვილმა ახალ ეტაპზე აიყვანა შევარდნაძისეული ხელისუფლების შენარჩუნების ხელოვნება; გზების, საპატრულო პოლიციის ნაწილობრივ წარმატებული რეფორმით, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით, კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლით, საყოფაცხოვრებო დონეზე კორუფციის აღმოფხვრით, ბიუჯეტის გაზრდით, შეძლო მხარდაჭერის მოპოვება და განიმტკიცა თავისი პოზიციები. მალე წარუმატებლობები დადგა საშინაო და საგარეო ასპარეზზე და მას არ აღმოაჩნდა ინტელექტუალური რესურსი მის გადასაჭრელად. დაიწყო ავტორიტარული მეთოდებითა და ძალადობის გამოყენებით ქვეყნის მართვა. ხელისუფლების პოზიციების განმტკიცების მიზნით, განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, ჩართო სახელმწიფოს პროპაგანდისტური მანქანა, რომელშიც ითავსებდა მთავარი იდეოლოგის, დემაგოგის, პროპაგანდისტის, „ქვეყნის გადამრჩენის" მესიანურ როლს. ამას თან ერთვოდა საზღვარგარეთის ლობისტური ჯგუფების საქმიანობის გულუხვი დაფინანსება, აშშ-ის სენატორებთან ინტენსიური თბილი ურთიერთობები და დასავლელი ლიდერების მხარდაჭერა, რომლებიც არასოდეს დაინტერესებულან რეალურად შეეფასებინათ საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები. ქართული პოლიტიკური არენა იქცა „უფლებებისა და თავისუფალი ბაზრის საჯარო რიტორიკულ სივრცედ და, მეორე მხრივ, კონტროლის, კორუფციისა და დაშინების საიდუმლო სფეროდ" (სტივენ ფ. ჯონსი). ქვეყანაში გაძლიერდა ქვეშევრდომული, მორჩილებითი კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციები. საშემსრულებლო კულტურის რეჟიმში ფუნქციონირებდა პოლიტიკური იერარქიის შიგნით ურთიერთობები და ყოველივე ამის შემოქმედი იყო ავტორიტარი ლიდერი, რომელსაც გააჩნდა საოცარი ენერგია და მოუსვენარი ხასიათი.

საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში ნაციონალების მმართველობის დროს ყველაზე მეტი ტყუილი ითქვა და ცრუ დაპირებები გაიცა. „პოლიტიკურ შიზოფრენიას" უწოდებს სტივენ ფ. ჯონსი მ. სააკაშვილის ხელისუფლებაში დამკვიდრებულ პოლიტიკურ ორიენტაციებს, რიტორიკას, ქცევებს.

ხელისუფლებამ მოახერხა ოპოზიციური ძალების სრული დისკრედიტაცია, პოლიტიკურ სცენას ფაქტობრივად ჩამოშორდნენ ურეიტინგო პარტიები და მათი ლიდერები, შექმნა საკუთარი დასაყრდენი „ცრუ ოპოზიციის" სახით, რომელიც შევარდნაძის მიერ აპრობირებული და ნაცადი ხერხი იყო ძალაუფლების შესანარჩუნებლად. **„ფსევდოოპოზიცია, ეს იყო აშკარად პათოლოგიური წარმონაქმნი, – წერს პროფესორი გ. აბესაძე, – რომელიც ამახინჯებდა რეალურ სიტუაციასა და ფსევდოდაპირებებით ხალხის ცნობიერების მანიპულირებას ახდენდა."**

ავტორიტარულმა რეჟიმმა ტოტალიტარიზმის მსგავსად თავისი განახლებული ტერმინოლოგია შემოიტანა პოლიტიკურ მიმოქცევაში „ჩარეცხილი", „წითელი ინტელიგენცია," „კორუმპირებული პროფესურა" და **ხალხთან დიალოგის ნაცვლად ხელისუფლებამ „მტრის ხატის" კონსტრუირების ნაცად მეთოდს მიმართა:** 2007 წლის მოვლენების დროს ოპოზიციური ძალების დისკრედიტაციის მიზნით გამოაქვეყნა რუსეთის სპეცსამსახურებთან ოპოზიციის ლიდერების „თანამშრომლობის" ამსახველი ფარული ჩანაწერები, რომლებიც გათვლილი იყო საზოგადოების დაბალ ფენაზე. **„მტრის ხატის" შექმნის პოლიტიკა, საზოგადოების დაშინებას, მოჩვენებით მონოლითურობას, ხელისუფლების გარშემო კონსოლიდაციას და, რაც მთავარია, ქვეშევრდომული-საშემსრულებლო კულტურის ფორმირებას განაპირობებდა...„მტრის ხატის" ახალი საბი", „წითელი ინტელიგენცია," „კორუმპირებული პროფესურა" და ხალხთან დიალოგის ნაცვლად ხელისუფლებამ „მტრის ხატის" კონსტრუირების ნაცად მეთოდს მიმართა:** 2007 წლის მოვლენების დროს ოპოზიციური ძალების დისკრედიტაციის მიზნით გამოაქვეყნა რუსეთის სპეცსამსახურებთან ოპოზიციის ლიდერების „თანამშრომლობის" ამსახველი ფარული ჩანაწერები, რომლებიც გათვლილი იყო საზოგადოების დაბალ ფენაზე. **„მტრის ხატის" შექმნის პოლიტიკა, საზოგადოების დაშინებას, მოჩვენებით მონოლითურობას, ხელისუფლების გარშემო კონსოლიდაციას და, რაც მთავარია, ქვეშევრდომული-საშემსრულებლო კულტურის ფორმირებას განაპირობებდა...„მტრის ხატის" ახალი საბ ელისუფლებო პროექტი იყო „იმედის" მოდელირებული ქრონიკა.**

დღეს ქართველი და უცხოელი ექსპერტები მსჯელობენ ნაციონალების საპარლამენტო ოპოზიციის ბედზე, დარჩება თუ გაქრება იგი პოლიტიკური ველიდან, შეუძლია თუ არა მას კონსტრუქციული ოპოზიციის როლის შესრულება და მრავალი სხვა. ჩვენი აზრით, დიდი პრივილეგიების დაკარგვა და ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი ფინანსური და სისხლის სამართლებრივი დანაშაულობები, მათზე დამთრგუნველ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს და მათი ქმედებების პერმანენტულ რადიკალიზაციას განაპირობებს: ნაციონალების ნაწილისთვის არ არსებობს საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებები, მხოლოდ თავის მართლების რეჟიმში ფუნქციონირებენ, ჩასაფრებული კოტრელიტის დესტრუქციულ როლს ასრულებენ, ნაწილი ცდილობს, სკამი შეცვალოს და ხელისუფლებაში გადადის, ხოლო „რეჟიმის არქიტექტორებს" მიზნად ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია აქვთ დასახული ქვეყნის შიგნით და გარეთ, მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების წარუმატებლობები რეანიმაციის გარემოს შექმნის, მაგრამ მათი გაქრობა პოლიტიკური სცენიდან უფრო პროგნოზირებადია.

ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში, მაშინ, როცა ოპოზიციურმა პარტიებმა სრული ფიასკო განიცადა და ხელისუფლებამ 2011 წლის 26 მაისს „საბოლოოდ გააჩუმა" ხალხი, ქვეყანაში დაისადგურა შიშის სინდრომმა, პოლიტიკურ სცენაზე შემოდის არაპოლიტიკოსი, ცნობილი მილიარდერი, ქველმოქმედი ადამიანი ბიძინა ივანიშვილი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მრავალი პროექტის განხორციელება და ზოგჯერ, „სახელმწიფოს ფუნქციის" შესრულებაც: მისი ფულით შევარდნაძის ხელისუფლების დროს გაიცემოდა პენსიები, აფინანსებდა და ხელფასს უხდიდა სააკაშვილის ხელისუფლების ჩინოვნიკებს, ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს, მისი სახსრებით აშენდა ან რესტავრაცია ჩაუტარდა გზებს, კულტურულ- საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ეკლესიებს. შორს წაგვიყვანს „არაორდინარული მილიარდერის" დამსახურებების ჩამონათვალი ერის წინაშე, მაგრამ ზემოთქმულიც საკმარისია იმის დასასაბუთებლად, თუ რაოდენ პოპულარობით სარგებლობდა იგი ქართველთა შორის. იგი პატრიოტი, ქვეყანაზე უზომოთ შეყვარებული პიროვნებაა და ამან განაპირობა ავტორიტარული, კოსმოპოლიტური, ანტიეროვნული ხელისუფლებისადმი დაპირისპირება.

ბიძინა ივანიშვილი თვისებრივად ახალი ტიპის ლიდერია ქართულ პოლიტიკაში. თავისი უშუალობით, შეცდომების აღიარების უნარით, ადამიანური ფაქტორი შემოიტანა პოლიტიკაში: მასში მოქალაქეები ადამიანურ ღირსებებს, უშუალობას, გულწრფელობას და ჩვეულებრივ ადამიანურ განცდებს აღიქვამდნენ, რომლის დიდი დეფიციტი იყო ქართულ პოლიტიკურ სცენაზე. **ლიდერებს ელექტორატი, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე, კარგი ლაპარაკისა და პოპულისტური დაპირებების ფონზე ირჩევდნენ (ეს მომენტიც გაითვალისწინა მან: ამიტომაა მისი პროგრამა უცხოელი ექსპერტების შეფასებით, გარკვეული აზრით, „დაპირებების ნაკრები"). გამოავლინა საოცარი მოთმენის, სხვისი აზრის მოსმენის უნარი, პრაგმატული აზროვნება და რაციონალურ-ბიუროკრატიული, დემოკრატიული ლიდერის უნარ-ჩვევები, რომლის დეფიციტი ახასიათებდა გარდამავალი პერიოდის ყველა ლიდერს. ბ. ივანიშვილმა პოლიტიკური პროცესებიდან გამორიცხა ემოციური კომპონენტების დომინანტობა, უზარმაზარი მასის მიზანსწრაფვა კონსტიტუციურ საზღვრებში მოაქცია და გამოავლინა „უკმაყოფილო მასის" პრაგმატული და მიზანმიმართული მართვის ხელოვნება. დაუბრუნა ხალხს ღირსების გრძნობა, მომავლის რწმენა, გაუღვივა მოქალაქეობის განცდა და დაარწმუნა არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის შესაძლებლობაში; სწორად შეარჩია იდეოლოგიური ორიენტირები, დროზე გაემიჯნა წინა ხელისუფლების სატელიტ პარტიებს. არ აჰყვა ხელისუფლების სურვილს, ჩაეთრია რადიკალურ დაპირისპირებაში. მისმა ავტორიტეტმა მოახდინა ურეიტინგო პარტიების რეანიმაცია. მხოლოდ მის სახელს, პოლიტიკურ ალღოს, გათვლებს უკავშირდება ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა და დემოკრატიული გარემოს შექმნა მედიასივრცეში.** დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, ფული ივანიშვილს არჩევნებს ვერ მოაგებინებდა, რადგანაც ნაციონალები სახელმწიფო თანხებსაც ხარჯავდნენ ამ მიზნით და თვითონაც დიდ კაპიტალს ფლობენ. არაორდინარული იყო მისი საქციელი, როგორც ლიდერის, ხელისუფლებიდან ნებაყოფლობით წასვლა, რომლის პირობაც მან არჩევნებამდე დადო.

მთლიანად პროგნოზირებადი არაა კოალიციის ბედი. ბ. ივანიშვილის გარშემო ნამდვილად არ იყო გაერთიანებული „ანგელოზების კაპელა" და მის რიგებში ბევრია „დემოკრატები გარემოებების მიხედვით," რომლებიც ნებისმიერ ხელისუფლებასთან ითანამშრომლებენ. ამიტომ, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ბ. ივანიშვილმა აღნიშნა: „მე ვისურვებდი, რომ ჩვენი პარტია ნამდვილად იყოს იდეოლოგიითა და ღირებულებებით შეკავშირებული ადამიანთა ერთობა." შესაძლოა, მისი დაშლა უკეთ წაადგეს დემოკრატიას.

ამრიგად, გარდამავალი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში ქარიზმული ლიდერის ძიების პოლიტიკური ორიენტაციის ელემენტები კვლავ წამყვან როლს თამაშობენ; ხალხი ქვეყნის წარუმატებლობებს სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში ქარიზმული ტიპის ლიდერებს და ხელისუფლებას უკავშირებს; ძალიან მცირე რაოდენობა ადამიანებისა თუ თვლის, რომ ამის მიზეზი თვით ხალხში, მის პოლიტიკურ კულტურაშია, რომ ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობა დამოკიდებულია მმართველ პოლიტიკურ ძალაზე კონტროლის, ზეწოლის, მხარდაჭერის ლეგიტიმურ მექანიზმებზე; ერთ პიროვნებასთან, ჩვენს შემთხვევაში პრეზიდენტთან, პრემიერთან, ყველა საჭირბოროტო პრობლემის დაკავშირება, „საყოველთაო უმოქმედობის" პოლიტიკური ქცევის პირობებში, ყოველთვის იმედგაცრუებითა და ახალი ლიდერის პერმანენტული ძიებით მთავრდება.

ავთანდილ ტუკვაძე,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთთან ხელშეკრულების ფარგლებს ხდიან უფრო ფართოს, ვიდრე ამას ცხინვალი ელოდებოდა

სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა რუსეთთან სამოკავშირეო და ინტეგრაციის ხელშეკრულების ოფიციალური პროექტი. ხელშეკრულების პირველი ვერსიისგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობდა სამხრეთი ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის ძალოვანი სტრუქტურების სრულ ინტეგრაციას, ახალი ვარიანტი არ ითვალისწინებს ადგილობრივი ძალოვანი, სამართალდამცავი და საბაჟო სტრუქტურების გაუქმებას. სამხრეთი ოსეთის საპარლამენტო უმრავლესობა დაბეჯითებით მოითხოვს ხელშეკრულების პროექტის ძველი ვარიანტის მიღებას.

ხელშეკრულების პროექტის პრეზენტაცია გასულ უქმე დღეებში მოახდინა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა და პარტია „ახალი ოსეთის“ ლიდერმა დავით სანაკოევმა. მას უწოდა „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“, ამავე დროს გამოთქვა იმედი, რომ დოკუმენტის გამოქვეყნება მოხსნის დაძაბულობას საზოგადოებაში. „სამხრეთ ოსეთში ხელშეკრულების პროექტზე მუშაობა დაწყებიდანვე ხელოვნურად იქნა პოლიტიზირებული ცალკეული პოლიტიკური ძალების მიერ“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა სანაკოევმა. 2014 წლის ბოლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში გაჩნდა პროექტის „ნედლი“ ვერსიები და წინადადებები. ვერსია, რომელსაც ჩვენ ახლა გთავაზობთ, მზადაა რუსეთთან განხილვისთვის.

ოფიციალური პროექტი ითვალისწინებს, რომ რუსეთი და სამხრეთი ოსეთი „ჩამოაყალიბებენ საგარეო თავდაცვისა და უშიშროების ერთიან კონტურს“, კერძოდ, „შექმნიან რეგიონალურ გაერთიანებულ დაჯგუფებას სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ გამოყოფილი კონტინგენტის შემადგენლობაში“. მიმდინარეობს სამხრეთი ოსეთის არმიის ერთობლივი მოდერნიზაცია — „ოპერატიული (ტაქტიკური) შეთავსებულობის მიღწევისთვის“. სამხრეთი ოსეთის არმიის სწავლებას, შეიარაღებას, დაფინანსებასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას განახორციელებენ რუსული სტანდარტებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების გამოყენების შესახებ რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის ძალოვანებს მოუწევთ შეუთანხმონ სამხრეთი ოსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს.

ეს არის მთავარი განსხვავება ოფიციალური ვერსიისა წინა პროექტისგან. იგი გამოაქვეყნა სოციალურ ქსელებში უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების გამარჯვებულმა პარტიამ „ერთიანი ოსეთი“.

პარტია დაჟინებით მოითხოვს რესპუბლიკის შეყვანას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში და მიიჩნევს, რომ ეს დააჩქარებს სამხრეთი ოსეთის სტრუქტურების სრულ ინტეგრაციას რუსეთის სტრუქტურებში. ძველი ვერსიით, სამხრეთი ოსეთი რუსეთის ფედერაციას გადასცემდა სრულ უფლებამოსილებას თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის, მათ შორის სახელმწიფო საზღვრის, საბაჟოების დაცვისა და ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის საქმეში. სამხრეთი ოსეთის ძალოვანი და სამართალდაცვის სტრუქტურები რუსეთის ნაწილი ხდებოდა. ინტეგრაცია ხდებოდა შეზღუდული შეთანხმების საფუძველზე, რომლისთვისაც ხელი უნდა მოეწერათ ექვსი თვის განმავლობაში ძირითადი ხელშეკრულების შემდეგ.

მედიაცენტრ „ირის“ ხელმძღვანელი ირინა გაგლოევა და პარლამენტის დეპუტატი სახალხო პარტიიდან ამირან დიაკონოვი მიიჩნევენ, რომ დოკუმენტი „ატარებს ანტიკონსტიტუციურ ხასიათს“: რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების შესვლა რუსეთის სტრუქტურებში ეწინააღმდეგება სამხრეთი ოსეთის კონსტიტუციის პირველი თავის მეათე მუხლს. „ამ დოკუმენტმა საზოგადოებაში ბევრი შეკითხვა გამოიწვია, — ამბობს ქალბატონი გაგლოევა. — გაურკვეველია, რატომ გაჩნდა იგი არაოფიციალურ რესურსზე, არა მთავრობის ან პარლამენტის გვერდზე, არამედ იყო „შერწყმული“ ინტერნეტში? გაურკვეველია, რატომ არ არის ხელშეკრულების სრულფასოვანი განხილვა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკითხი შეეხება არა სტრატეგიულად მნიშვნელოვან სახელმწიფო დოკუმენტს, არამედ რაღაც იურიდიულ ფორმალობას“. „რატომ არის, რომ პარტია „ერთიანი ოსეთი“ იბრძვის, მიაღწიოს ხელშეკრულების ხელმოწერას ასეთი სახით, წარმოდგენილი პროექტი ხომ არ შეესაბამება კონსტიტუციას და იგი შეიძლება ადვილად იქნეს გასაჩივრებული სასამართლოში“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ამირან დიაკონოვმა. ამას გარდა, ჩვენთან მოსაუბრეებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულების ლობისტებმა „ამ პროექტის ყველა მოწინააღმდეგე მტრებად მიიჩნიეს“: სამხრეთ ოსეთში არ არიან რუსეთთან ინტეგრაციის მოწინააღმდეგეები, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროექტი იმსახურებს საზოგადოებრივ განხილვას“.

„თავდაცვის სამინისტროს გაუქმებას აქ ვერ გაიგებენ, — ამბობს ჩვენს მიერ ერთ-ერთი გამოკითხული ექსპერტი. — ჩვენ არაერთი ომი გადავიტანეთ, რომ ასე უბრალოდ არ გადავცეთ სხვას საკუთარი არმია. სამხრეთ ოსეთმა უნდა შეინარჩუნოს შესაძლებლობა — გამოიყენოს შეარაღებული ძალები უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში“.

ოფიციალური პროექტი სამხრეთი ოსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას უნარჩუნებს დამოკიდებლობას. რესპუბლიკას დარჩება თავისი ჯანმრთელობის დაცვაც და საბაჟო სტრუქტურებიც, რომლებიც იმუშავებენ რუსეთის ანალოგიურ სტრუქტურებთან ერთად. სამაგიეროდ შემოთავაზებულია გამშვები პუნქტების გაუქმება რუსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის, ხოლო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის „დაცვის უფლებამოსილება“ ეკისრება რუსეთს. ზოგიერთი ჩვენი თანამოსაუბრე ცხინვალში აღიარებს, რომ ეს ართმევს რესპუბლიკას სუვერენინეტის ნაწილს. მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ „რახან ეს ხელშეკრულება აუცილებელია, საჭიროა დათმობაზე წასვლაც“.

ჩვენი თანამოსაუბრეები ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მაღალ აჟიოტაჟს, უწინარეს ყოვლისა, უკავშირებენ რუსეთის ფედერაციის მისწრაფებას — სრულად აკონტროლოს საზღვარი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის. ჯერ კიდევ 2014 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ ვლადისლავ სურკოვმა აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ნატოს გაფართოების შესაძლებლობა უკრაინისა და საქართველოს ხარჯზე რუსეთის წინაშე აყენებს ახალ საფრთხეს, რაზეც არ შეიძლება რეაგირება არ მოვახდინოთო.

„ხელშეკრულების პროექტი, რომელიც პოლიტსაბჭომ წარმოადგინა, გაცილებით უკეთესია, ვიდრე იგი, რომელსაც პარლამენტი ავრცელებდა, — მიაჩნია პოლიტოლოგ დინა ალბოროვას. — **ეს ვერსიაც იწვევს შეკითხვებს, მაგრამ აქ ის მაინც არის, თუ რაზე უნდა ვიმუშაოთ. ამ პროექტის საკვანძო სიტყვებია — „ურთიერთმოქმედება“, „სტრატეგიული პარტნიორობა“, „ინტეგრაცია“ — ეს ხელშეკრულების პირველი ვარიანტისგან განსხვავებით, სადაც ჩვენი სტრუქტურების ყველა უფლებამოსილება გადაეცემოდა რუსეთს, მაგრამ ამავე დროს რესპუბლიკა არ შედიოდა მის შემადგენლობაში“.**

პარლამენტში აღნიშნავენ, რომ მთავრობის პროექტი — „ეს არის მხოლოდ ვერსია და არა შემაჯამებელი დოკუმენტი“. პარტია „ერთიანი ოსეთის“ ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი გაჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას განიხილავენ სამხრეთი ოსეთი და რუსეთი: „ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ტექსტის აზრი, რომელიც არსად არ ამტკიცებს და რომლის მიხედვითაც მხარეებს არ მოუწყვიათ კონსულტაციები და არ მიუღიათ გადაწყვეტილებები“. ბატონმა ბიბილოვმა აღნიშნა, რომ ახალი ხელშეკრულება ინტეგრაციის შესახებ აუცილებელია, ვინაიდან საპარლამენტო არჩევნებში სამხრეთი ოსეთის ხალხმა კვლავ დაადასტურა, რომ ოცნებობს გაერთიანდეს რუსეთთან. 19 იანვარს ფრაქციამ „ერთიანი ოსეთი“ გაავრცელა განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროექტი რატიფიცირებული არ იქნება.

ჩვენი მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობას შეთანხმებაზე კურატორობას უწევს ვლადისლავ სურკოვი. „მუშაობა დოკუმენტზე გრძელდება“, — გვითხრა წყარომ ძველ მოედანზე და დაუმატა, რომ დოკუმენტზე ხელმოწერის ვადების ცვლილებები მისთვის სრულიად უცნობია (2014 წლის დეკემბერში ვლადისლავ სურკოვმა ცხინვალში განაცხადა, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილი უნდა იყოს 2015 წლის იანვრის ბოლოს). ჩვენმა თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ პირველი ვარიანტი **„გაცილებით უფრო მიმზიდველია თავად სამხრეთი ოსეთის მცხოვრებლებისთვის“,** — ვინაიდან ითვალისწინებს საფინანსო უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ამაღლებას: სამხრეთი ოსეთის ძალოვნების, სახელმწიფო მოსამსახურეების, პენსიონერების ხელფასი (აგრეთვე სოციალური შეღავათები და დახმარებები) იქნება ისეთივე, როგორიც ჩრდილოეთი კავკასიის ფედერალურ ოლქშია. თანაც, ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე, რუსეთი დე ფაქტო მზადაა, იკისროს რესპუბლიკის უშიშროების უზრუნველყოფა. პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა კომენტარებისგან თავი შეიკავა.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ობამას არ გააჩნია გეგმები მაისში მოსკოვში ჩასვლასთან დაკავშირებით, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რუსეთის ფედერაციაში

დეკემბერში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწემ იური უშაკოვმა განაცხადა, რომ მოსკოვმა უკვე გაუგზავნა მოწვევა უცხოეთის ქვეყნების ლიდერებს, მონაწილეობა მიიღონ გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. მოწვევა გაეგზავნა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას. ვაშინგტონში ხან განაცხადეს, რომ ობამა არ ჩამოვა, ხან აზუსტებდნენ,რომ ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

* * *

ირანის პრეზიდენტმა თეირანის მცხოვრებლები გააოცა, როდესაც სუფთა ჰაერის გამო მეტროში ჩავიდა

მაღალი რანგის მგზავრი დედაქალაქის მეტროში ჩავიდა საგარეო საქმეთა მინისტრ ჯავედ შარიფის და მთავრობის სხვა წევრების კამპანიაში, რათა თავის ხალხთან ერთად აღენიშნა სუფთა ჰაერის დღე, რომლის პრობლემაც მეტად მწვავედ დგას მრავალმილიონიან ქალაქში.

* * *

პირველი სახმელეთო შეტაკება: კანადის ჯარებმა ერაყში საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს

საზღვრის მახლობლად კანადელებს ცეცხლი გაუხსნეს ტერორისტების მხრიდან და ისინი იძულებული იყვნენ ეპასუხათ სნაიპერული ცეცხლით, გაანადგურეს მტრის ნალმსასროლების წერტილები. ინციდენტი გასულ კვირას მოხდა, მაგრამ მის შესახებ ცნობილი მხოლოდ ახლა გახდა. ერაყში კანადის კონტინგენტის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იძულებითი ზომა იყო: ფორმალურად კანადა მონაწილეობას არ ღებულობდა ერაყში სახმელეთო ოპერაციებში.

შეტყობინება სს „გზის მშენებელი №11“-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2015 წლის 11 თებერვალს 11:00 საათზე იმართება სს „გზის მშენებელი №11“-ის (ს/კ 208172145)“-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგ მისამართზე: პეკინის 34, მე-2 სართული, ოთახი 222.

დღის წესრიგი:

1. სს „გზის მშენებელი №11“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვადამდელი გაწვევა და სს „გზის მშენებელი №11“-ის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების არჩევა.

სს „გზის მშენებელი №11“-ის ადმინისტრაცია

◎ დედაქალაქი. სატრანსპორტო თემის გაგრძელება

3. სურსათის შეუმჩნევლად შემოიტანონ და ნაგავის ასევე გაიტანონ...

თბილისში მანქანების მოძრაობასთან დაკავშირებულ „პრობლემათა თაიგულზე“ ახალი წლის წინა დღეებში არაერთ პროფესიონალს ველაპარაკეთ, სადღესასწაულო დღეების შემდეგაც ბევრის აზრი მოვისმინეთ . ზოგი საყურადღებო იყო, ზოგიც არც მაინცდამაინც გონივრული – მაგალითად, რაიონებიდან მანქანებით შემოსვლასთან დასაწესებელი შეზღუდვების შესახებ. ბევრმა რესპონდენტმა სახელ-გვარისა და სამუშაო ადგილის გამხელაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რისი მიზეზი, სიმართლე გითხრათ, ვერაფრით ვერ ავხსენით. ამიტომ მათ შესახებ ამომწურავ ინფორმაციას თუნდაც იმიტომ ვერ მოგაწვდით, რომ ყველაფერი თავადაც არ ვიცით.

თავდაპირველად, რედაქციაში ერთი შემოსული ზარის შესახებ გვინდა გიამბოთ: ნაშუადღევს მამაკაცმა დაგვირეკა, გვითხრა, 30 წელია, სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ვარ, დავითი მქვია, გვარს რა მნიშვნელობა აქვსო. თქვენ რომ წერთ, სამარშრუტო ტაქსები ზაფხულში კონდიციონერებს არ რთავენ, ზამთარში კი გათბობასო (**ასე არ დაგვიწერია – ო.ტ.**), თანაც იმასაც იძახით, ტაქსისტები მანქანებს ყველგან აჩერებენ და ხალხით გადაჭედილები დადიანო, ერთი იკითხეთ, გეგმა რამდენი გვაქვს ჩასაბარებელი, ბენზინს რამდენი უნდა, მანქანის შეკეთებას, ზოგჯერ ჯარიმებს, ახლა კიდევ კონდიციონერები რომ ვამუშაოთ, ბენზინის ხარჯი იცით რამდენით გაიზრდება? მერე სახლში რა მივიტანოთ, ცხოვრება ჩვენც ხომ გვინდა? 12-13 საათს დღეში კაცი რომ იმუშავებს, ჭამა და დასვენება დღეში ნახევარი საათი მაინც ხომ უნდა?

ძალიან გულშემოყრილი იყო ბატონი დავითი, სიმართლე გითხრათ, ჩვენი, აზრით, სავსებით სამართლიანადაც. ბენზინიც ძვირია, გეგმაც დიდი აქვთ, მანქანის მოვლასაც ფული სჭირდება, დასვენებაც უნდათ – ყველაფერ ამის თაობაზე ჩვენს წინა პუბლიკაციებში გვქონდა ლაპარაკი, ოღონდ არა ასე გამოკვეთილად. მაშინ ისიც ითქვა, რომ თბილისის მერიის ტრანსპორტის სამსახურმა, ანდა, სულაც, მერიის ხელმძღვანელობამ სათანადო მოლაპარაკებები უნდა გამართოს თბილისის მიკროავტობუსების კომპანიასთან ყველა საჭირბოროტო საკითხის მოსაწესრიგებლად. განსაკუთრებული ყურადღება კი, ჩვენი აზრით, **ტაქსების მარშრუტების ბოლო პუნქტებში მძღოლთა მოსასვენებელი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებისა და ყოველი ოთხი საათის მუშაობის შემდეგ ერთი საათის აუცილებელ დასვენებაზე სათანადო კონტროლია დასაწესებელი, რაც სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებში მიღებული საერთაშორისო ნორმებია და რომელსაც ყველა (მათ შორის, უწინარესად, ევროკავშირის!) ქვეყანაში უმკაცრესად იცავენ, რისთვისაც პზთ-კონტროლის სისტემას იყენებენ**. მაგრამ აქვე აუცილებლად ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა პრობლემების გათვალისწინებითაც კი, აუცილებლად უნდა განვაცხადოთ, რომ **ამის მიუხედავად ყველგან, ძალიან ხშირად ზედ ქუჩის სავალი ნაწილის შუაში, ინტენსიური მოძრაობის პირობებში, მანქანის გაჩერება იქ, სადაც ხელს აუქნევენ და იმდენი კაცის ჩასმა, რამდენიც ჩაეტევა, ყოვლად დაუშვებელია და ამის გაკონტროლებაზე პასუხისმგებლობა, დიახაც, საპატრულო პოლიციამ უნდა იკისროს**.

სამარშრუტო ტაქსის კიდევ ერთმა მძღოლმაც არ ისურვა თავისი გვარის გამხელა და გვთხოვა არც მარშრუტის ნომერი მიგვეთითებინა. თეიმურაზ ლ-ის აზრით, სამარშრუტო ტაქსის ბევრი მარშრუტი ერთმანეთს იმეორებს, როგორც თავად ამბობს, „ზედ აზის“, რაც არაჯანსაღ კონკურენციას და, ზოგჯერ, შეხლა-შემოხლასაც იწვევს. მისი აზრით, საჭიროა სამარშრუტო ტაქსების სქემის კარგად, ქალაქის ქუჩების რეალური გამტარუნარიანობიდან გამომდინარე დალაგება და არა ჰაიჰარად, მხოლოდ ვიღაცების ჯიბის გასასქელებლად ახლების შემოღება ანდა ძველების დაგრძელება. თუმცა კი, ისიც აღნიშნა, რომ ეს ძალიან რთული საკითხია და ამის თავიდან მოწესრიგებას აღარავინ იკისრებს– არც კომპანიაში, არც მერიის ხელმძღვანელობაში, არც მით უმეტეს, მის სატრანსპორტო სამსახურში.

20 წლიანი სტაჟის მქონე პროფესიონალი მძღოლი ჯუმბერ ნაჭყებია ამბობს, რომ დიდი სატრანსპორტო მანქანების ქალაქში მოძრაობა ისედაც შეზღუდულია, მაგრამ **საჭიროა საათობრივი შეზღუდვების დაწესება სადისტრიბუციო მანქანებისთვისაც,** რომლებიც ამჟამად მხოლოდ თავიანთი მფლობელებისა და მოსამარაგებელი მაღაზიების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, რაც შემთხვევათა უმეტესობაში საცობების მიზეზი ხდება ხოლმე, განსაკუთრებით დილისა და დღის საათებში.

კერძო ტაქსის მძღოლმა გურამ ქობულაძემ საცობების შესამცირებლად პარალელური ქუჩების ცალმხრივი მიმართულებით მოძრაობაზე გადაყვანის აზრს გამოთქვამს, ცხადია, იქ, სადაც ეს შესაძლებელია.

ჩვენი აზრით, ასეთი ნაბიჯი მთელ რიგ რაიონში გადადგმულია კიდეც, თუმცა კი, არსებითად, პიკის საათებში ეს საცობების წარმოშობას მაინც ხელს ვერ უშლის, რადგან სადაც ეს ცალმხრივი მოძრაობა მთავრდება და ორმხრივი მოძრაობის ქუჩას უერთდება, იქ უკვე პრობლემები წარმოიშვება.

კიდევ ერთი გამოცდილი მძღოლის, ავტომოყვარულის როგორ პ-ს თქმით, თბილისში სატრანსპორტო საცობების პრობლემის წარმოშობა, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, მაგალითად, ქალაქის მთაგორიანობის, ქუჩების სივიწროვის, მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურისა და კიდევ მრავალ სხვასთან ერთად, დედაქალაქში მანქანების გასაოცარი მომატებითაა გამოწვეული.

–კაცმა რომ თქვას, ხალხის უმეტესი ნაწილი შიმშილობს, პურისა და წამლის ფული არა აქვთ, მშივრები და ავადმყოფები იხოცებიან, მაინც ეს ამოდენა მანქანები საიდან, ვერაფრით ვერ გამიგია! – უკვირს ბატონ რობერტს. – მაგრამ, კაცს მანქანის ყიდვა თუ უნდა და საშუალებაც აქვს, ხომ ვერ დაუშლი? ამიტომაც, კარგი იქნება, თუ ერთ ხერხს გამოიყენებენ ჩვენი მერიის ხელმძღვანელები: **ევროპის ბევრ ქალაქში მინახავს, რომ თვის კენტ დღეებში ქუჩებში მარტო კენტი რიცხვით დამთავრებული სანომრენიშნებიანი მანქანები დადიან, წყვილ რიცხვებში – მხოლოდ წყვილი რიცხვებით დამთავრებული. ამით იქაური პოლიცია კერძო მანქანების ოდენობას ქუჩებში, გინდა არ გინდა, ანახევრებს. ჩემი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, ეს გამოცდილება ჩვენ საპატრულო სამსახურსაც გადაეღო.**

– ახლანდელი საცობები რა არის, თქვენ ორ-სამ წელიწადში ნახეთ, თბილისში მანქანით შეუძლებელი რომ იქნება სიარული! – ამ ცოტა არ იყოს, „აპოკალიფსური წინასწარმეტყველების“ ავტორი კუკური გოქსაძე გახლავთ, ისიც კაი გამოცდილი მძღოლი, რომელიც მანქანასაც რამდენიმე ათეული წელია, ატარებს და პროფესიითაც ავტოინჟინერი გახლავთ. – თბილისში თუ საქმე ისე გაგრძელდა, ჩვენთან მოძრაობა ისევე დადგება, როგორც ეს მსოფლიოს მანქანებით გადაჭედილ მეგაპოლისებში ხდება. იქაური ამბებისა რა გითხრათ, ჩვენში კი გამოსავლის გამონახვა, ასე მგონია, ჯერ კიდევ შეიძლება, მაგრამ **პრობლემას თბილისის მერია კომპლექსურად უნდა მიუდგეს და, ბოლოს და ბოლოს, აღირსოს დედაქალაქს განვითარების გენერალური გეგმა, სადაც არა მარტო ახალი უბნებისა და გზების მშენებლობა, არამედ ქალაქის არსებობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მთელი ინფრასტრუქტურა იქნება გათვალისწინებული, ცხადია, ძველი უბნების რეკონსტრუქციასთან ერთად**.

კიდევ ერთი ტაქსის მძღოლის თენგიზ ცინცაძის აზრით კი, თბილისში საჭიროა როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა მრავალადგილიანი ავტოსადგომების მოწყობა და საამისოდ შესაბამისი ადგილების გამოყოფა, რაც თავის თავზე მერიამ უნდა აიღოს.

– ავტოსადგომები, ადრე, თითქოს „სითი პარკს“ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ იქ მხოლოდ არასწორი პარკინგისთვის ჯარიმების გამოწერა და მანქანების საჯარიმო სადგომზე ევაკუირება აინტერესებთ, რადგან აქედან ნაღდი ფული შესდით, სხვა არაფერი ედარდებათ, – ასე ფიქრობს ბატონი თენგიზი და იმასაც ამბობს, რომ, როცა რომელიმე კომპანია ხელშეკრულების დათქმულ პირობებს თავისით არ ასრულებს, ეს ამის გაკეთება უნდა აიძულო.

რას იტყვით, მართლა ასეა თუ არა, პატივცემულო მკითხველო?

ოთარ მერიშვილი

◎ სამეგრელოს მხარე

ვისია „პაპანწყვირი“?

ხობის რაიონის სოფელ ხეთის ტერიტორიაზე, გორაკზე მდებარეობს სამეგრელოში ცნობილი პატარა ტბა სახელად „პაპანწყვირი“. ლეგენდის თანახმად, ტბის ადგილზე ცხოვრობდა მღვდელი (მეგრულად პაპა). ერთხელ, როდესაც მღვდელმა თავის დამხმარე ადამიანებს, ნადს სადილად აჭამა ძაღლის ხორცი, მიწა იძრა და მღვდელი თან ჩაიტანა, ჩაიძირა (მეგრულად დინწყუ) და ამ ადგილას გაჩნდა ტბა, რომელსაც უწოდეს „პაპანწყვირი“ (ქართულად ჩაძირული მღვდელი). ეს ტბა თავისი შესანიშნავი ადგილმდებარეობის, კამკამა წყლის გამო სამეგრელოს მოსახლეობისთვის საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო.

„პაპანწყვირის“ ისტორია გამახსენა ხობის რაიონის სოფელ ხეთაში არსებულმა რთულმა სიტუაციამ, რომელიც რამდენიმე წელია, გრძელდება და დასასრული არ უჩანს. დაპირისპირება და დავა გრძელდება სოფლის მცხოვრებთა და ამ სოფელში არსებულ შპს „ინკა-ინვესტს“ შორის. სოფლის მოსახლეობა ამ შპს-ს მათი კუთვნილი ქონების მიტაცებაში ადანაშაულებს, რასაც კატეგორიულად უარყოფენ შპს-ს წარმომადგენლები. „ინკა ინვესტმა“ სოფელ ხეთაში შეიძინა 300 ჰა-მდე მიწა, შემოღობა და ამ ტერიტორიაზე, სადაც ტბა „პაპანწყვირიც“ მოექცა, ნებართვის გარეშე შესვლის უფლება არავის არა აქვს.

სოფლის მცხოვრებლებმა სიმართლის დადგენის მიზნით სახელისუფლებო სტრუქტურებს მრავალჯერ მიმართეს, მაგრამ მათგან რაიმე დამაიმედებელი პასუხები ვერ მიიღეს. აი, რას წერენ ისინი საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში: „მე-20 საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა 90-იან წლებამდე. საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ ზემოთ ხსენებული ტერიტორია მოსახლეობას გადაეცა იჯარით სარგებლობის უფლებით. 2006 წელს შპს „ხეთამ“ გარკვეული პროცედურული დარღვევებით შეისყიდა ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. ამ შესყიდვით „ხეთის“ მფლობელობაში გადავიდა არა მარტო დაფნისა და ციტრუსების ნარგავები, არამედ უნიკალური ჯიშის მცენარეების, მათ შორის ბზისა და ურთხმელის საუკუნოვანი ტყის საფარი, ქარსაფარი ზოლები და მტკნარი წყლის სათავეები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფელ ხეთისა და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგებას. წლების მანძილზე ხეთის მცხოვრებლები გულის ტკივილით ვადევნებთ თვალს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ტყის საფარის განადგურებას. თითქმის მთლიანად გაიჩეხა ქარსაფარი ზოლი, მიმდინარეობს კირქვის მოპოვება, რომელიც აძლიერებს ეროზიას. ბოლო წლებში თითქმის ყველა სათავეზე საგრძნობლად იკლო წყლის დონემ, ზაფხულის თვეებში მოსახლეობა უწყლობით იტანჯება. 2012 წლიდან შპს „ხეთის“ ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, მოსახლეობისათვის გაეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულებები, იმ მოტივით, რომ შემოსავალი ვერ ფარავდა ხარჯებს. 200-ზე მეტი მოიჯარე დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, რომლებიც თავიანთი შრომით უვლიდნენ და აბარებდნენ შპს-ს მოსავალს და შესაბამისად ღებულობდა ამ შემოსავლის 30%-ს. დღეს ეს ადამიანები უმუშევრები არიან“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს 10-მდე სოფლის მცხოვრები აწერს.

ხეთის მკვიდრის ჯუმბერ ლატარიას განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელი ხეთა 1300-მდე კომლს ითვლის და მოქმედი კანონმდებლობით თითოეულ კომლზე კერძო საკუთრებაში გაცემული უნდა იყოს 12500 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. „ვინაიდან სოფელ ხეთაში არ მოიპოვებოდა ამ ოდენობის თავისუფალი სავარგულები, ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო შპს „ხეთის დაფნისა და ციტრუსის“ ხარჯზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 450 ჰა. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნული ტერიტორია გაიყიდა სარფიან მყიდველზე და სოფლის მოსახლეობა დავრჩით მიწების გარეშე. შპს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სახერხი ქარხანა, გაიჩეხა უნიკალური სახეობის კედრის ჯიშის ხეები და 17 ჰა ქარსაფარი ზოლი, ამიტომაც ჩვენ მოვითხოვთ დადგინდეს შპს „ხეთის“ მიერ ხეთის დაფნისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის შესყიდვის კანონიერება, დადგინდეს, როგორ მოხდა შპს-ს კუთვნილებაში რამდენიმე წლით ადრე გახსნილი სასაფლაო, აიკრძალოს ამ ტერიტორიაზე ხეების ჭრა და კირქვის მოპოვება, გაიხსნას უკანონოდ გადაღობილი გზა, რომელიც არ შედის მის მფლობელობაში და მცხოვრებლებს მიეცეთ თავიანთ საცხოვრებლამდე თავისუფლად გადაადგილების საშუალება“, – აღნიშნა ჯუმბერ ლატარიამ.

2012 წელს შპს „ხეთა“ მთლიანად შეისყიდა შპს „ინკა-ინვესტმა“, რომლის დირექტორი რუსლან იოსავა უსამართლოდ მიიჩნევს სოფლის მცხოვრებთა პრეტენზიებსა და მოთხოვნებს. მისი თქმით, მათ ყოველგვარი კანონის დაცვით შეისყიდეს ეს ტერიტორია და ასევე კანონიერად ახორციელებენ საქმიანობას. „ჩვენ უკვე დავიღალეთ ყოველივე იმის გამო, რაც ხდება ჩვენს გარშემო. სხვადასხვა კომისიამ რამდენჯერმე შეგვამოწმა და არავითარი უკანონობა არ აღმოუჩენიათ. ჩვენ კანონიერად ვფუნქციონირებთ, მაგრამ ამის გაგება სოფლის რამდენიმე მცხოვრებს არ სურს და ისევ მათ გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენ ზუსტად ვფლობთ 261,6 ჰა-ს, დასაქმებული გვყავს 200-მდე პიროვნება, საქართველოს ყველა კუთხიდან, ძირითადი საქმიანობა დაფნის აჭრა და ციტრუსების დამზადებაა, 400-500 ლარამდე იღებენ ხელფასს სტაბილურად“, – განაცხადა რუსლან იოსავამ. მისი თქმით, ატეხილი აჟიოტაჟის გამო სამუშაოთა წარმოება შეჩერებულია და უცდიან, თუ რას დაადგენს ახალი კომისია.

რუსეთიდან ჩამოსულმა ბიზნესმენმა შპს „ინკა-ინვესტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და მეწილემ ბორის იოსავამ გამოთქვა მზადყოფნა, შეხვდეს სოფლის მოსახლეობას და შეძლებისდაგვარად გადაწყვიტონ არსებული პრობლემები, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი შეხვედრის მოწყობა ვერ ხერხდება, რადგან ბორის იოსავა მის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს უსამართლოდ თვლის და ამიტომაც მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას არ აპირებს. „მე ეს ტერიტორია კანონის სრული დაცვით მაქვს შესყიდული და ვერანაირი კომისია ვერანაირ სიყალბეს ვერ აღმოაჩენს, ამიტომაც კომისიების შექმნაზე უკეთესია, შემხვდეს სოფლის მოსახლეობის 5-6 წარმომადგენელი, მაგრამ ისინი ასეთ შეხვედრაზე არ მოდიან, ძალაობენ, ძალით კი ისინი ვერაფერს ვერ წამართმევენ, რადგან მე ვმოქმედებ კანონიერად. ჩვენ 10 წელია, ვმუშაობთ და მომცეს ჩემს მიერ დახარჯული 5,5 მილიონი და დღესვე წავალ ხეთიდან“, – განაცხადა ბორის იოსავამ. მისი თქმით, რაც შეუძლია დათმოს, ესაა 32 ჰა საძოვარი, რომელიც მის საკუთრებაშია.“ გამოისყიდონ, შემოღობონ და ისარგებლონ, რაც შეეხება გზას, მზად ვარ, შემოვღობო გზის გაღმა-გამოღმა ტერიტორიები და გზა იქნება თავისუფალი გადასაადგილებლად. რაც შეეხება „პაპანწყვირს“, რომელიც მოუვლელი და დაბინძურებული იყო, გაიწმინდება ტერიტორია, მოეწყობა დასვენებისთვის ყველა აუცილებელი ატრიბუტი, ტბაში იქნება ნავები და ყველა მსურველს შესაძლებლობა ექნება დატკბეს ამ მშვენიერებით.

გათვალისწინებულია, რომ უნდა შეიქმნას ხობის მუნიციპალიტეტისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი კომისია, რომელმაც უნდა მოაგვაროს ხეთელების წინაშე არსებული პრობლემები, თუმცა, საეჭვოა, რომ ამ კომისიამ შეძლოს ამ „ფორს-მაჟორული“ სიტუაციის მოგვარება.

ლადო ძირია,
ზუგდიდი

◎ ჭადრაკი

ნინოს ახალი თამასა

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 72-ე ეროვნულ ჩემპიონატში, ნანა ძაგნიძის გარდა, ყველა უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობდა. ბოლო ტურის წინ ბათუმელი ნინო ბაციაშვილი მეწინავეობდა ერთპიროვნულად. ზღვისპირელმა დიდოსტატმა მე-9 ტურში ანა კუჭავა დაამარცხა, 7 ქულა მოაგროვა და საქართველოს ჩემპიონობა პირველად მოიპოვა.

ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ნინო ხურციძე-სოფიო გვეტაძე 1:0, სალომე მელია-ბელა ხოტენაშვილი 0,5:0,5, ლელა ჯავახიშვილი-მერი ჟორჟოლიანი 1:0, ალექსანდრა ვახანია-მერი არაბიძე 0:1.

საბოლოო შედეგები: ნინო ბაციაშვილი-7, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ხურციძე-6-6, სალომე მელია, მერი არაბიძე-5,5-5,5, ლელა ჯავახიშვილი-5, სოფიო გვეტაძე-4,5, ანა კუჭავა-2,5, ალექსანდრა ვახანია, მერი ჟორჟოლიანი-1,5-1,5 ქულა.

ნინო ბაციაშვილი თანატოლებში საქართველოს მრავალგზის პრიზიორია. ეროვნულ ჩემპიონატში პირველად 2003 წელს ითამაშა. 2012 წელს მესამე, მომდევნო წელს კი მეორე ადგილი დაიკავა. 2012 და 2014 წლებში საქართველოს ქალთა ნაკრებთან ერთად მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე იასპარეზა. შარშან ბათუმის „ნონას“ შემადგენლობაში ჯერ ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, მერე კი საქართველოს პირველობა მოიგო. ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე მიღწეული მე-7 ადგილით 2016 წლის მსოფლიოს პირველობაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

— საქართველოს ჩემპიონობამ ძალიან გამახარა, — გვითხრა ნინომ. — ტურნირში უძლიერესი დიდოსტატები მონაწილეობდნენ, ამიტომაც მედლების ბედი ბოლო ტურის შედეგებმა გადაწყვიტა. ბედნიერი ვარ, შრომა წყალში რომ არ ჩამეყარა. მართალია, ტიტული დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს, მაგრამ გამოწვევებისთვის მზად ვარ. ჩემპიონობით საქართველოს ქალთა გუნდში დავიბევე ადგილი. 10-20 თებერვალს ნაკრებს საწვრთნელი შეკრება ექნება. 23 თებერვლიდან იერუსალიმში ვაჟთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატში ჩავებმები. აპრილის მეორე ნახევარში ჩვენს გუნდს მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელის — ჩინეთში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი გაიმართება. მერე ქალთა ევროპის პირადი პირველობა ჩატარდება, სავარაუდოდ, ბათუმში. სხვა საინტერესო ტურნირებიც გვექნება. ვეცდები, ქომაგები არ გავაწბილო.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან — ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი, ნინო ხურციძე.

◎ ჭიდაობა

ევროპისთვის კანდიდატები შეარჩიეს



წლეულს 24-29 მარტს ვარშავაში პირველად გაიმართება 23-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრებისთვის ნაკრების ძირითადი ბირთვის გასარკვევად ამ ასაკში პირველად გაიმართა საქართველოს პირველობა, რომელსაც ფალავანთა კლუბმა უმასპინძლა. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

ბექა ბუზიაშვილი (57 კგ, გორი), გიორგი შამათავა (61, ფოთი), ზურაბ იაკობაშვილი (65, ყვარელი), ალექსანდრე ჯაჭვაძე (70, გარდაბანი), ზურაბ ერბოწონაშვილი (74, საგარეჯო), ირაკლი მწითური (86, თბილისი), ომარ გუსოშვილი (98, გორი), გიორგი მეშვილდიშვილი (125, ონი),

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგები



წინა ორი კვირის განმავლობაში ქართველ ჩოგბურთელებს საერთაშორისო ტურნირებში, ფაქტობრივად, არ უასპარეზიათ, ამიტომ ქალთა საჩოგბურთო და ვაჟ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციების მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებში ჩვენებურებს დიდი ცვლილებები არ განუცდიათ.

ქალები. 218 (218). სოფიო შაფათავა (228 ქულა), 327 (327). ეკატერინე გორგოძე (106), 424 (424). სოფიო ქვაცაბაია (68), 530 (530). ოქსანა კალაშნიკოვა (45), 698 (697). მარიამ ბოლქვაძე (24), 879 (879). მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი (13), 1111 (1109). თამარ კუტუბიძე (5), 1205 (1202). თამარ ჭალაგანიძე (3).

ვაჟები. 157 (157). ნიკოლოზ ბასილაშვილი (325), 545 (542). ალექსანდრე მეტრეველი (59), 866 (866). გიორგი ცივაძე (18), 1221 (1222). გიორგი ჯავახიშვილი (6), 1422 (1418), ალექსანდრე ბაკში (3), 1725 (1725). ირაკლი მეტრეველი (1).

მიმდინარე კვირას თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა იაპონელ კურუმი ნარასთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობაში ჩაებმება. დეიტონ ბიჩის (აშშ) 25.000-იან საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს სოფიო შაფათავა. ანტალიაში ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მთავარი ჯილდოსთვის ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია იბრძოლებენ. ტუნისში ელ კანტაუის 10.000-იან ტურნირში მარიამ ბოლქვაძე მოსინჯავს ძალებს.

გივი გაგუა

◎ რაგბი

გორგოძის პირველი ბულონური ლელო

რაგბიში ევროპის ჩემპიონთა თასის ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე ქართველი ლეგიონერების ოთხი გუნდი პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს.

მე-5 ტურში დავით ზირაქაშვილისა და ვიტო კოლელიშვილის „კლერმონმა“ შალვა მამუკაშვილის „სეილი“ ინგლისში 22:13 დაამარცხა და პირველი ჯგუფის ლიდერია. მამუკაშვილი და კოლელიშვილი ტრავმირებულები არიან, ხოლო ზირაქაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად გაისარჯა. ფრანგები მეორე ტაიმის დასაწყისში 6:10 ჩამორჩნენ, მაგრამ ჯარიმებით უპირატესობის დაბრუნება შეძლეს, 75-ე წუთზე გატანილი ლელოთი კი მეტოქეს საქმე მოუმთავრეს.

მესამე ჯგუფში პირველი ადგილი დაიბევა მამუკა გორგოძის, კოტე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონმა“, რომელმაც ირლანდიური „ოლსტერი“ 60:22 გაანადგურა. გორგოძე შეცვლაზე 59-ე წუთზე შევიდა, ერთ წუთში შეტევას კარგად მიჰყვა, გადაცემა არც თანაგუნდელმა დაუგვიანა და მარცხენა ალამთამ „ტულონში“ თავისი პირველი ლელო გაიტანა. 20 წუთში მან ბურთით 4-ჯერ შეუტია და ჯამში 16 მეტრი გაიარა. მიქაუტაძე შეცვლაზე 64-ე წუთზე შევიდა და ორი შეტევით ჯამში 10 მეტრი დაფარა.

მეოთხე ჯგუფში საქმე გაირთულა ვასილ კაკოვინის „ტულუზამ“, რომელიც საკუთარ მოედანზე „ბათთან“ 18:35 დამარცხდა. ქართველმა ბურჯმა შეცვლაზე 65-ე წუთიდან ითამაშა. მიუხედავად მარცხისა „ტულუზა“ ჯგუფის ლიდერად რჩება და თუ დასკვნით ტურში „მონპელიე“ სტუმრად დაამარცხა, პლეი ოფში გავა. მიხეილ ნარიაშვილის „მონპელიე“ ბოლო ადგილს თავს ველარ დააღწევს. იგი შოტლანდიაში ქართველი ლეგიონერის გარეშე ჩავიდა და „გლაზგოსთან“ 10:21 დამარცხდა.

დავით ხინჩაგიშვილის „რასინგ მეტრომ“ იტალიური „ბენეტონი“ პრემიალური ქულით - 53:7 დაჯაბნა და ჯგუფის ლიდერად რჩება. ქართველი ლეგიონერი ტრავმირებულია, მის გუნდს კი პლეი ოფში გასვლის კარგი შანსი აქვს, რადგან ჯგუფის 5 გამარჯვებულთან ერთად მეოთხედფინალში სამი საუკეთესო მეორეადგილოსანიც გადის.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

„დორტმუნდი“ როისს წელიწადში 8 მილიონს სთავაზობს

დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელობა გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის მარკო როისის შენარჩუნების ახალ გზებს ეძებს. საფეხბურთო ვებგვერდ გოალ-ის ინფორმაციით, დორტმუნდელები კლუბის სპონსორებთან „ოპელთან“ და „პუმასთან“ ახალ გეგმას განიხილავენ, რომლის მიხედვითაც როისს წელიწადში 8 მილიონ ევროს შესთავაზებენ.

იმ შემთხვევაში, თუ გუნდის სპორნსორები ზედმეტი თანხების გამოყოფაზე დათანხმდნენ, ჯერი გერმანელ ფეხბურთელზე მიდგება. როისმა უნდა აირჩიოს დარჩეს თუ არა „დორტმუნდის“ რიგებში ან რომელიმე სხვა გრანდს მიაშუროს.

ევროპული მედია მარკოს მიუნხენის „ბაიერნთან“ და მადრიდის „რეალთან“ აკავშირებს. ორივე გუნდის ხელმძღვანელობა მზადაა ფეხბურთელის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაიხადოს.

როისს „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 2017 წლის ივლისამდე აკავშირებს. ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება 50 მილიონ ევროს შეადგენს. მიმდინარე სეზონში მარკოს ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა. ჯამში ნახევარმცველმა საკლუბო დონეზე 11 შეხვედრა ჩაატარა, 6 გოლი გაიტანა და 3-ჯერ თანაგუნდელებსაც გაატანინა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მარია ყვანჯით და უყვანჯოდ

არავინ დავობს, რომ გოლფი ამერიკელების საქმეა და აკი მსოფლიოში საუკეთესო მეგოლფეებიც სწორედ ამერიკელებს დაუდით, მაგრამ მოხდა ისე, რომ გოლფის თამაში ჩვენს მრავალტანჯულ კონტინენტზეც დაიწყეს და რუსეთშიც კი გამოჩნდნენ ცნობილი და პოპულარული მეგოლფე ქალები.

რუსი მეგოლფე ქალბატონი მარია ვერჩინოვა არა მხოლოდ მარჯვედ იქნევს ყვანჯს, იმითაც გამოიჩინა თავი, რომ მზადაა ხელის ერთი და მარტივი მოძრაობით განიძარცვოს სამოსელი მისი და ამ ამბავში მას დათა თუთაშხიასეული კიკუსავით ბევრი ხვეწნა-მუდარა სულაც არ სჭირდება.

რუსეთში მარიას „ოქროს გოგოსაც“ უწოდებენ, რაც მისი ტიტულმრავლობით აიხსნება, მაგრამ ვერაფერს მოვუხერხებთ იმ ფაქტს, რომ რუსეთსა და ევროპაში გოლფი დიდად არავის ანაღვლებს. ასეთი მშვენიერი ასულის თამამი ფოტოები კი ახარებს სულსა და გულს...

როსტომ რაჭველიშვილი

კვალი ნათელი

პეტრე პავლეს ძე ნასყიდაშვილი

ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **პეტრე პავლეს ძე ნასყიდაშვილი**.



პეტრე ნასყიდაშვილი დაიბადა 1928 წლის 27 ნოემბერს ახალციხის რაიონის სოფელ ვალეში. 1947 წელს დაამთავრა ადიგენის საშუალო სკოლა. იმავე წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1952 წელს დაამთავრა. იმავე წელს პეტრე ნასყიდაშვილი ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურაში სელექცია-მეთესლეობის სპეციალობით; მისი მეცნიერ ხელმძღვანელი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეონარდ დეკაპრელევიჩი; 1956 წელს მას მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1974 წელს გახდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი. 1973 წელს არჩეულ იქნა კათედრის გამგის თანამდებობაზე.

დიდია აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის ღვაწლი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. სამეცნიერო მუშაობის პარალელურად ბატონი პეტრე ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დიდ ორგანიზატორულ მუშაობას. 1974-1979 წლებში არჩეული იყო აგრონომიული ფაკულტეტის დეკანად, ხოლო 1983 წლიდან 1995 წლამდე იყო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში; 1976 წლიდან 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სადისერტაციო საბჭოს, იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს აგრონომიული სექციის თავმჯდომარე. მან გზა მისცა ახალგაზრდა კადრებს, რომელთა უმრავლესობა შემდეგ აგრარული დარგის ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი გახდა; მისი ხელმძღვანელობით დაცულია 13 სადოქტორო და 50 საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორი პეტრე ნასყიდაშვილი 1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს — ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. 1996 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია. 1983 წლიდან იგი საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწეა. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია.

1995-2006 წლებში ბატონი პეტრე იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის კომისიის თავმჯდომარე, შემდეგ ინსპექციის უფროსი; 2007 წლიდან — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიის დეპარტამენტის მთავარი კონსულტანტი; 2008 წლიდან — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოიცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების ზოგადი საფუძვლების, აგრეთვე გამოყენებითი ბიოლოგიის, გენეტიკის, სელექციისა და მეთესლეობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გენოფონდის აღდგენას, შენახვას და მათი გამოყენების, ახალი კულტურების და ჯიშების ინტროდუქციას. მას გამოქვეყნებული ჰქონდა 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 15 მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო, ოცამდე მეთოდური მითითება და რეკომენდაცია, იყო 19 დარაიონებული ჯიშისა და ჰიბრიდის ავტორი. მას მიღებული ჰქონდა ხორბლისა და ტრიტიკალეს 1200 ფორმა, რომლებიც ჩართულია მსოფლიო გენოფონდში ქალაქ პეტერბურგში.

პეტრე ნასყიდაშვილი ამქვეყნად მოვლენილი იყო იმისათვის, რომ თვითონაც თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ ფუტკარივით ეშრომა და მის ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდებიც ასეთი შრომისთვის დაერაზმა. ამას ის აკეთებდა დაუზარებლად, უდიდესი ენთუზიაზმით. იყო არა მხოლოდ გამოჩენილი მეცნიერი და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე კადრების აღმზრდელი, მასში შეთავსებული იყო შესანიშნავი მოქალაქეობრივი თვისებები, იგი სიცოცხლეს გვაყვარებდა და ამქვეყნად ყოფნას გვილამაზებდა, იყო მრავალი ღირსებით შემკული — უზომოდ კეთილი, მუდამ მოღიმარი, თავმდაბალი, სათუთი გულის, მაგრამ ამავე დროს სიმართლის დამცველი. იგი გამოირჩეოდა როგორც კარგი მეოჯახე — შესანიშნავი მეუღლე, მზრუნველი მამა და პაპა. ბატონი პეტრე მიღწეულით არასოდეს ყოფილა კმაყოფილი, იგი მკაცრი და მომთხოვნი იყო თავისი თავისადმი. მან შრომით გალია ეს ქვეყანა, ჩუმად, უხმაუროდ წავიდა პირუთვნელი და ვალმოხდილი. იგი ბედნიერ გამონაკლისთა შორის დარჩება, რადგანაც ის საქმე, რომელსაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარა, დღესაც ცოცხლობს და ვითარდება.

სწორედ ეს არის მისი სიცოცხლის გაგრძელება, რადგან იგი სახელოვან მამულიშვილთა პლეადას ეკუთვნოდა და ხალხისგან პატივცემულმა სამარადჟამოდ დატოვა სამახსოვრო სახელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი

პეტრე ნასყიდაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 20, 21 I, 17 სთ. გამოსვენება 22 I, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას VI კვ., XX კორპ., I სად. I სართ.

აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი

საქართველოს აგრარულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიისა და ლ. დეკაპრელევიჩის აკადმიური პრემიის ლაურეატი **პეტრე ნასყიდაშვილი**.

აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი დაიბადა ახალციხის რაიონის სოფელ ვალეში 1927 წლის 10 იანვარს. ადიგენის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. შემდეგ იყო ბატონი პეტრეს დიდი და ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა ასპირანტურიდან დაწყებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსობამდე. იგი ბრძანდებოდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დეკანი, პრორექტორი, კათედრის გამგე, სამეცნიერო საბჭოს წევრი, სამეცნიერო შრომების და ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოვალეობას. გამოქვეყნებული ჰქონდა 650-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 15 მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო, 35-ზე მეტი მეთოდური მითითება და რეკომენდაციები. ბატონი პეტრე ბრძანდებოდა 19 ჯიშისა და ჰიბრიდის ავტორი.

აკად. პ. ნასყიდაშვილი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ და ღირსების ორდენებით, საპატრიარქოს სიგელით, საქართველოს ისტორიის საზოგადოებისა და ნ. ვავილოვის სახელობის მედლებით.

საქართველოსა და საერთაშორისო აგრარიკოს მეცნიერთა დიდ ოჯახს გამოაკლდა ქვეყნისადმი ვალმოხდილი ადამიანი, საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი, სპეტაკი ადამიანი, თავის ქვეყანაზე უაღრესად შეყვარებული, კარგი მეოჯახე, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების უსაყვარლესი პედაგოგი და ხელმძღვანელი, დამსახურებული საზოგადო მოღვაწე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საყვარელი აღმზრდელი და მეგობარი.

აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

სულთათანა

გივი ბერძენიშვილი



ენერგეტიკოსთა საძმოს კიდევ ერთი გამოჩენილი წევრი დააკლდა — გარდაიცვალა **გივი ბერძენიშვილი**.

დაიბადა 1932 წლის 1 მაისს ბათუმში, 1950 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ბათუმის 25-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ენერგეტიკოსის სპეციალობით და განაწილებით იქნა გაგზავნილი ქუთაისის ავტოქარხნის თბოელექტროსადგურში. 1961 წელს იგი გადაიყვანეს თბილისში, „საქმთავარენერგოს“ აპარატში. 1962 წელს ბატონ გივის აწინაურებენ „ლაჯანურჰესის“ მთავარ ინჟინრად, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტმა ელექტროსადგურში მნიშვნელოვანი სიახლენი განახორციელა — დაინერგა ავტომატიზაცია, ტელემექანიზაცია და სხვა.

1965 წელს ბატონი გივი გადაჰყავთ კახეთის ელექტროქსელებში მთავარ ინჟინრად, იგი აქაც ამჟღავნებს მაღალ ორგანიზატორულ თვისებებს — ელექტროქვესადგურებში, ყველგან ინერგება ავტომატიზაცია, ტელემექანიზაცია.

1973 წლიდან იგი ინიშნება „საქმთავარენერგოს“ გამანაწილებელი ქსელების ექსპლუატაციის სამსახურის უფროსად, მონაწილეობს პროექტის — „საქართველოს მაღალმთიანი მოსახლეობის არც ერთი ოჯახი ნათურის გარეშე“ განხორციელებაში, შედეგად 70-იანი წლების ბოლოსთვის რესპუბლიკის ყველაზე მიუწვდომელი სოფლების ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საიმედო ელექტრომომარაგებით. 1974 წლიდან გადაჰყავთ ტრესტ „საქსოფელექტრომშენში“, რომლის პრიორიტეტად გამოცხადდა „ყიზლარის სამასი ათასი ჰექტარი საძოვრების ინფრასტრუქტურის მთლიანი ელექტრიფიკაცია“ — 80-იანი წლებისთვის ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა, რამაც დიდი როლი შეასრულა საქართველოში მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

არ შეიძლება, აგრეთვე, არ აღინიშნოს, რომ, როდესაც ბატონი გივი ბერძენიშვილი კვლავ დააწინაურეს და იგი 1982 წელს გადაიყვანეს „ზაჰესის“ ტერიტორიული კასკადის გენერალურ დირექტორად, ის ჩვეული მონდომებით ახორციელებს კასკადის ელექტროსადგურებზე მრავალი სიახლის დანერგვას და ტექნიკურ გადაიარაღებას, მიღწეული შედეგებისთვის, „ზაჰესი“ საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდა და მის ხელმძღვანელს საკავშირო მინისტრმა მადლობა გამოუცხადა და ფულადი ჯილდო გადასცა.

საინტერესოა, რომ გივი ბერძენიშვილი პარალელურად ისტორიულ-ლიტერატურულ საქმიანობასაც წარმატებით ართმევდა თავს, — მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესა, აგრეთვე საინტერესო ნაშრომები იოსებ სტალინის ფენომენის შესახებ, რისთვისაც მას მნიშვნელოვანი ჯილდო და ფულადი პრემია გადაეცა.

ბატონ გივის ყველა იცნობდა, როგორც პრინციპულ და სამართლიან ხელმძღვანელს, ტაქტიანს და გამგებს, სიკეთით სავსე მამულიშვილს, რომელიც სინდისსა და ღირსებასთან არასოდეს წასულა კომპრომისზე.

ხელმძღვანელობამ ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი, — იგი იყო საქართველოს ენერგეტიკის და სამხედრო-პოლიტიკური აკადემიების, წევრი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და მადლობა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ გულწრფელად მივუსამძიმროთ დამწუხრებულ ოჯახს, მეუღლეს ქალბატონ ინას, შვილებს — რამაზს და ლალის ეს მძიმე დანაკლისი!

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის სამშობლოს მიწა, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

პანაშვიდი 21 I, 16 საათიდან (კოსტავას №45, III სართული, ბინა №11 (შესასვლელი ეზოში, სამშობიაროს მოპირდაპირედ). გამოსვენება 22 I, 14 სთ. საბურთალო, ყოფილ ველოტრეკთან, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ასოციაციის გამგეობის წევრს რუსუდან ხაბურზანიას გარდაეცვალა დედა

ანგელინა ოსიპოვი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ გამგეობის წევრს, უკეთილშობილეს ქალბატონს რუსუდან ხაბურზანიას ძვირფასი დედის

ანგელინა ოსიპოვის

გარდაცვალების გამო.

◎ ჩვენი კარაბადინი

იძინე და ნუ იჯავრებ

რაც უფრო ხშირად ვერ ახერხებს ადამიანი გამოძინებას, მით უფრო ხშირად უჩნდება მას ნეგატიური აზრები, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები. ეს

სწორია ე.წ. „ტოროლებისთვისაც“ და იმათთვისაც, ვინც თავს ყველაზე უკეთ გრძნობს საღამოს.

ფსიქოლოგებმა ბინჰემპტონის უნივერსიტეტიდან 100 სტუდენტს სთხოვეს შეევსოთ ანკეტები, რომ გამოერკვიათ, თუ როგორი სიხშირით წუხდებიან ისინი რაიმეზე, აგრეთვე რამდენად აკვიატებულია ეს წუხილი და შეშფოთება. ასევე სტუდენტებს უნდა მოეთხროთ, თუ როდის ურჩევნიათ დაწოლა დასაძინებლად – საღამოს თუ გვიან ღამით, – და თავად მიაკუთვნონ თავიანთი თავი „ბუებს“ ან „ტოროლებს“. აღმოჩნდა, რომ ქრონოტიპისგან დამოუკიდებლად ყველაზე ხშირად ნეგატიური აზრები უჩნდებოდათ მათ, ვინც გვიან წვებოდა დასაძინებლად და ამ დროს ეძინა ცოტა.

დიდები და ჭკვიანები

ბავშვის წონა დაბადების დროს გავლენას ახდენს მის წარმატებებზე დაწყებით და საშუალო სკოლებში, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს.

მათ ანალიზი გაუკეთეს მონაცემებს იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც 1992-2002 წლებში ფლორიდის შტატში დაიბადნენ. ინფორმაციამ წონის შესახებ სიცოცხლის პირველ დღეს და ტესტების შესახებ მათემატიკასა და კითხვაში 1,6 მილიონ ბავშვს შორის აჩვენა, რომ ისინი, ვინც მეტს იწონიდნენ დაბადების დროს, უკეთ ართმევდნენ თავს სასკოლო პროგრამებს უფროს კლასებამდე.

ბავშვის წონა დაბადების დროს ასრულებდა გადამწყვეტ როლს უკეთ სწავლაში იმ შემთხვევაში, თუ სოციოეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები დაახლოებით ერთნაირი იყო. სხვა შემთხვევებში უფრო მნიშვნელოვანი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო სხვა პარამეტრები, მაგალითად, მშობელთა განათლების დონე.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ახალშობილის ჯანმრთელობა გარკვეულწილად განსაზღვრავს მის წარმატებებს სამომავლოდ.

ველოდებით დადასტურებას

ის პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ კალციუმს, რასაც ჩვეულებრივად ოსტეოპოროზის დროს იყენებენ, შეიძლება სასარგებლო იყოს სიმსივნეთა სხვა სახეობების დროს, არა მხოლოდ იმათი, რომლებიც ძვლის კანს მოიცავს. ეს აღმოაჩინეს ავსტრალიელმა მეცნიერებმა. უახლესი ტექნოლოგიების დახმარებით მათ დაინახეს, თუ როგორ წარმოქმნიან ბიფოსფონატები – პრეპარატების მოქმედი ნივთიერებები, რომლებიც თავიდან გვაცილებენ ძვლის მასის დაკარგვას, ქსოვილებში კალციფიკაციების უმცირესი კერების სიმსივნეებს თაგვებში. შემდეგ ამ შენაერთებს ისრუტავდნენ მიკროფაგები – იმუნური სისტემის უჯრედები, რომელთა მუშაობასაც კიბოს უჯრედები თრგუნავენ თავიანთი განვითარების ადრეულ ეტაპზე, რათა შეუმჩნეველი დარჩნენ.

მაშინ მეცნიერებმა შეისწავლეს იმ სიმსივნეების ნიმუშები, რომლებიც სარძევე ჯირკვლების კიბოთი დაავადებული პაციენტებისგან მიიღეს და მათში აღმოაჩინეს კალციფიკაციის ასეთივე კერები მაკროფაგების გვერდით და მათ შიგნით.ეს ნიშნავს, რომ ასეთივე პროცესი მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმშიც.

ინფორმაციას კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვიტალი ჩაფიჩაძე:

– „ბიფოსფონატების“ პრეპარატების ჯგუფს ხშირად იყენებენ ჩვენთანაც ქვეყანაში. ამ ჯგუფის წამლებს უნიშნავენ ძვლის ქსოვილებში მეტასტაზების დროს.

ბიფოსფონატებს კარგად იტანენ პაციენტები, მაგრამ მათი გამოყენების ხანგრძლივობა 1,5 წელს არ უნდა აჭარბებდეს (რის შესახებაც მკაცრად გვაფრთხილებენ მწარმოებლები), ვინაიდან ხანგრძლივი მიღების დროს ვითარდება სპეციფიური თანმდევი რეაქციები. ამიტომ ვურჩიოთ ასეთი მკურნალობა იმ პაციენტებს, რომლებსაც არ აქვთ ძვლების დაზიანება, ნაადრევია. საჭიროა, დაველოდოთ დიდი გამოკვლევების შედეგებს, რომლებიც შეაფასებენ ასეთი სამკურნალო მიდგომის მიზანშეწონილობას.

ყურადღება!

2015 წლის 23 იანვარს (პარასკევს), 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის გამგე, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

იაკობ (იაშა) მესხია

თემაზე: „სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები საქართველოში: რეალობა და გამოწვევები“.

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სხდომათა დარბაზში (ალ. ყაზბეგის გამზ. 47 (VI სართული), დასწრება თავისუფალია.

აკადემიის პრეზიდიუმი

◎ საჭიროენი აღარ იქნებიან

პროფესიები, რომლებიც უახლოეს მომავალში გაქრება

პროფესიების „სიკვდილიანობის“ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის პროცესის განვითარება დაასახელეს.

„სკოლსკოვოს“ ბიზნეს-სკოლამ და სტრატეგიული ინიციატივების სააგენტომ შეადგინეს იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომელთა საჭიროება უახლოესი ექვსი წლის განმავლობაში აღარ იქნება. პროფესიების „სიკვდილიანობის“ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მათ ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის პროცესის განვითარება დაასახელეს. როგორც წესი, პროცესი ამა თუ იმ პროფესიის შესაძლო ავტომატიზაციის ექსპერიმენტებით იწყება და იმ შემთხვევაში, თუკი ტექნოლოგია თავისუფლად შეძლებს ადამიანის ჩანაცვლებას, მაშინ მანქანის მიერ ადამიანის ჩანაცვლების პროცესი წარმატებით განვითარდება.

წარმოგიდგენთ „გაქრობადი“ პროფესიების ჩამონათვალს:

ნოტარიუსი, ტურისტული აგენტი, მბურღავი, ბიბლიოთეკარი, პროვიზორი, ქოფირაითერი, რიელთორი, გამომცდელი, სისტემური ადმინისტრატორი, სტენოგრაფისტი, საბანკო ოპერაციების განმახორციელებელი, ანალიტიკოსი, მდივანი/რეცეპტიონისტი, ლოგისტი/დისპეტჩერი, ჟურნალისტი.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– გილოცავთ, მეზობელო. ხმა მომივიდა, რომ დაქორწინებულხართ!

– როგორ, თქვენც გაიგეთ? აბა, ეს არის იზოლირებული ბინა?

* * *

– დედი, გუშინ პოკერი ვითამაშე და ახლა თქვენი ბინიდან გადავდივარ.

– გილოცავ, კარგი ახალი ამბავია!

– გმადლობთ. თქვენც გადადიხართ.

* * *

– როგორა გაქვს საქმე?

– როგორც დანტეს.

– ეს როგორ?

– ჯოჯოხეთში ვარ.

* * *

– რა სახე გაქვთ? ლიმონი ჭამე?

– უარესი. შენ დაგინახე.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24